ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 20 მაისი, 2015 №115 (6735) ფასი: 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიმიტრი ხუნდაძე: „ცე პეპატიტის წამალი საკმაოდ გამოცდილია“

„ეს არ არის საცდელი პროგრამა“

გვ.2



# „ალექსანდრე კვიტაშვილთან ერთად, თანამდებობას ეკა ზღულაძეც დატოვებს“



გვ.5

„ვვარაუდობ, რომ დიდხანს ვერც კვიტაშვილი, აბრამავიჩუსი და ზღულაძე გაძლებენ. მათი რეფორმებისთვის თანხას არავინ გამოყოფს. ახლა უკრაინაში ყველაფერი არეულია და ინტერესთა დიდი კონფლიქტია“.



## ნუგზარ წიკლაური: „რუსთაველზე მასშტაბური აქციებისთვის ვემზადებით“



## „მთავრობის შეცვლა რას გვიშველის, ქვეყანას ივანიშვილი უნდა მოვაშოროთ“

გვ.3

რა აკავშირებს ნაცმოძრაობას ირინა სარიშვილთან და ირაკლი წერეთელთან



## პარლამენტმა გიორგი ქადაგიძის მოსმენა გადადო

გვ.6

რა წერია ეროვნული ბანკის ანგარიშში



გვ.2

## როგორ მოხდება სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებების გადასინჯვა?



## სოსო შატბერაშვილი: „ხელისუფლებას შეუძლია, ვალუტის გაუფასურება შეაჩეროს“

გვ.4

ქვეყანაში 900 მლნ ლარი „შავი ფული“ ტრიალებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის

ISSN 1987-9385





გვ.5

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი დამემუქრა, „ქართული ოცნების“ ხელით გაგისწორდებიო“

„რესპუბლიკელებს ნაციონალურ მოძრაობასთან მუდმივი კულუარული მოლაპარაკებები აქვთ“

# დიმიტრი ხუნდაძე: „ცე ჰეპატიტის წამალი საკმაოდ გამოცდილია“

## „ეს არ არის საცდელი პროგრამა“

გულიკო ბალაძე

**თანამდებობის პირებს პრემიების მიღება, შესაძლოა, საკანონმდებლო წესით აეკრძალოთ.**

ინიციატივა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის პრემიების მიღების საკანონმდებლო წესით აკრძალვის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ წამოაყენა.

– ეს შეთავაზება მთავრობის დამტკიცებაზეც გავაკეთე, მაგრამ არავინ გამომეხმაურა. ჩემს ინიციატივას ნაციონალებმა მხარი არ დაუჭირეს. ასე მგონია, რატომღაც, მათაც ეტკინათ. დეკრეტული შვებულებების თაობაზე საკითხი რომ გამოვიტანე, ნაცმოძრაობის არც ერთ წევრს მხარი არ დაუჭერია, – აღნიშნა დიმიტრი ხუნდაძემ.

***– ბატონო დიმიტრი, თქვენი იდეა რას ითვალისწინებს?***

– მაღალი თანამდებობის პირებს შევთავაზე მინიმუმ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში უარი ეთქვათ პრემიების აღებაზე. დეპუტატებმა ჯერ კიდევ 2013 წლის დასაწყისში თქვეს უარი პრემიებზე. მოვუწოდებ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს, მიბაძონ დეპუტატებს და თანადგომა გამოუცხადონ საკუთარ მოსახლეობას.

***– არავინ გამოგხმაურებიათ?***

– ჩემს შეთავაზებას ბატონი ზაქარია ქუცნაშვილი გამოეხმაურა. მან გამოთქვა სურვილი, შემოვიდეს საკანონმდებლო ინიციატივით და განსაზ-



ღვროს საკანონმდებლო წესით იმ პირთა წრე, ვისზე გავრცელდება მორატორიუმი თუ აკრძალვა.

***– კრიზისი ჯანდაცვის სისტემას თუ შეეხო?***

– საბედნიეროდ, ჯანდაცვის სისტემაში ბიუჯეტთან დაკავშირებით პრობლემები ნაკლებია. დაფინანსების კუთხით პრობლემა არ არის. ქართული ჯანდაცვა ბოლო პერიოდში წარმატებით სვლას აგრძელებს.

***– ჯანდაცვის ბიუჯეტის კორექტირებაზე თუ არის საუბარი?***

– ეს საკითხი არ განიხილება, არც იგეგმება და არც არის მოსალოდნელი. ყველა დაპირებული და გაწერილი პროგრამა შესრულდება, ეს იქნება ჯანდაცვის თუ სოციალური მიმართულებით. შეიძლება უფრო გაფართოვდეს კიდეც, როგორც ჯანდაცვის, ისე სოციალური მიმართულებით ქვეყანა აგრძელებს წინსვლას და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მხარდაჭერას.

***– როგორ მიმდინარეობს ცე ჰეპატიტის პროგრამის შესრულება?***

– ეს პროგრამა მიმდინარეობს წარმატებულად. შედგა შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და იბიარდს შორის. ქვეყანაში, სავარაუდოდ, 200 ათასი ადამიანია ცე ჰეპატიტით ინფიცირებული. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია. თუმცა დაზუსტებისათვის მიდის კვლევა. 19 მაისისთვის თბილისის მასშტაბით კვლევა დასრულდება და გავრცელების ხარისხი ნაჩვენები იქნება. კვლევა ასევე რეგიონებში დაიწყება და 12 აგვისტოსთვის დასრულდება. პირველ ეტაპზე 5 ათასი პაციენტის მკურნალობაა დაგეგმილი. ესენი არიან პაციენტები, რომლებიც სასწრაფოდ საჭიროებენ ძვირადღირებულ ანტივირუსულ პრეპარატს. პრიორიტეტები განისაზღვრა. ადგილი შეირჩა. თუ ადგილი აქვს კომპრესირებულ ან დეკომპრესირებულ ცეროზს, შორს წასულ ღვიძლის ციროზს, ასევე ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში, თუ ღვიძლის ინფიცირების ხარისხია დაფიქსირებული, ისინი პირველ რიგში მოხვდებიან პროგრამაში. თუ ამას ემატება აივ ინფექცია და კლინიკური გამოვლინებაა და პაციენტის მდგომარეობა რთულდება, მათაც პრიორიტეტი მიენიჭებათ.

***– მიმართვიანობა როგორია?***

– პაციენტების შერჩევა ხდება კომისიური წესით, ანუ პაციენტი სოც-სააგენტოებს მიმართავს, იქ გაიგებს, თუ რა კვლევები უნდა ჩაიტაროს. ამ კვლევების ჩატარების შემდეგ ხდება დოკუმენტაციის კოდიფიცირება. კონკრეტული პიროვნების დოკუმენტებს მითითებული არ აქვს გვარი, სახელი და მისამართი. ეს ძალიან მკაცრად კონტროლდება, პირველი შერჩევა ჩატარდა. განხილული იყო 35 პაციენტის დოკუმენტები. 32-მა პაციენტმა უკვე მიიღო დასტური. ნაწილმა მკურნალობა დაიწყო. 3 პაციენტზე კომისიამ დამატებითი კვლევები მოითხოვა. ამის შემდეგ მათაც მიეცემა დასტური.

***– დაფინანსების კუთხით რა ხდება?***

– ანტივირუსული პრეპარატები აბსოლუტურად უფასოა. პაციენტისთვის 1 კურსის ჩატარება 50 ათასიდან 100 ათას დოლარამდე ჯდება. საჭიროების შემთხვევაში ყველა პაციენტი მიიღებს პრეპარატებს. კვლევების დაფინანსების ნაწილშიც სახელმწიფომ თანადგომა გამოუცხადა მოსახლეობას. განსაკუთრებით მათ, ვინც სოციალურად დაუცველია. კვლევები დაფინანსებული იქნება 70%-ით. ვფიქრობ, რეგიონებში მუნიციპალიტეტები გამოიჩენენ ასევე მზადყოფნას და თუ პაციენტებს არ ექნებათ 30%-ის დაფინანსების საშუალება (ამის დიდი შანსია), გვერდში დაუდგებიან. მაგალითად, თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 70 ათასი ქულის მქონე სოციალურად დაუცველ პირებს ბოლომდე დაუფინანსებენ და მათთვის კვლევები უფასო იქნება. თუ 70 ათას ქულას სცილდება ქულები, მათ მიმართაც გამოიჩინა თანადგომა და დევნილებსა და სხვა პირებს თითქმის ბოლომდე უფინანსებს კვლევებს. მხოლოდ 10% ექნებათ გადასახდელი.

***– რადგან წამალი ძალიან ძვირია, ხომ არ მოხდება გაცემული წამლის სხვა პირებზე გადაყიდვა?***

– სოციალური ფონი არასახარბიელოა. შეიძლება გარკვეულმა პირმა განკურნებას შემოსავლის მიღება ამჯობინოს და მისთვის განკუთვნილი უფასო პრეპარატი გაყიდოს. არასაქართველოს მოქალაქეებს არ აქვთ ამ წამალზე წვდომა. ჩვენ ვართ ერთადერთი სახელმწიფო მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც საკუთარ მოსახლეობას ამის საშუალებას აძლევს. იყო მცდელობები, რომ აღნიშნული პრეპარატი გარკვეული საფასურის სანაცვლოდ მოხვდეს არასაქართველოს მოქალაქეების ხელში. ესეც გათვალისწინებულია. თუკი პაციენტს ეკუთვნის ეს პრეპარატი და მიიღებს, მან კოლოფი უნდა გახსნას და პირველი აბი მიიღოს ექიმის თანდასწრებით. ეს დაფიქსირდება ვიდეოკამერით. ყოველი კვირის ბოლოს პაციენტმა ისევ ვიდეოკამერასთან უნდა დალიოს ტაბლეტები.

***– ამ პროგრამასთან დაკავშირებით ეჭვები გამოითქვა, რომ ეს იყო საცდელი პროგრამა. მოგეხსენებათ, ამაზე დაიწერა კიდეც. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– მთელი პასუხისმგებლობით ვადასტურებ, რომ ეს პრეპარატი არის საკმაოდ გამოცდილი. ეს პირველად ჩვენთან არ გამოიყენება. უბრალოდ, ჩვენთან შემოვიდა უფასოდ.

# როგორ მოხდება სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებების გადასინჯვა?

ნათია ხურცილავა

**მთავარი პროკურატურა და პარლამენტის სამუშაო ჯგუფი ახალი კანონპროექტის შემუშავებაზე მუშაობენ. კანონპროექტის მიზანი 2012 წლამდე მიღებული უკანონო სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა იქნება. ასევე ამბობენ, რომ კანონპროექტში ჩაიდება მუხლი, რომლის საფუძველზეც მოხდება სახელმწიფო ბალანსზე არსებული უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება.**



აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით კითხვით მივმართეთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძესა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **გიორგი პაპუაშვილს.**

***– მთავარი პროკურატურა მუშაობს კანონპროექტზე. საუბარია უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხზე, რომელიც სასამართლო განაჩენის საფუძველზე იქნა მიღებული. რა ფორმატში მოხდება აღნიშნული საქმეების გადახედვა?***

**ნინო გვენეტაძე:**

– პარლამენტში სამუშაო ჯგუფი მუშაობს, რომელიც ახალ საპროცესო ჩარჩოს ამუშავებს 2012 წლამდე მიღებული უკანონო გადაწყვეტილებების გადასინჯვის თაობაზე, მაგრამ ეს არის ჯერ მხოლოდ მუშა პროცესი. კონკრეტული პოზიციები, ალბათ, გარკვეული პერიოდის შემდეგ იქნება ცნობილი მედიისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. მთავარია, დაიწყო აქტიური მოქმედება ახალი საპროცესო ჩარჩოს შესაქმნელად, რომელიც საშუალებას მისცემს მხარეს, სასამართლოს მეშვეობით სამართალწარმოების პროცესში მოითხოვოს უკანონო სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა სამართალწარმოების გზით.

***– იმ მოსამართლეებს, რომლებმაც უკანონო გადაწყვეტილებები მიიღეს, რა სახის სანქცია დაეკისრებათ?***

– კანონპროექტი შეეხება მხოლოდ ახალი საპროცესო ჩარჩოს შექმნას. სტანდარტული ღონისძიებები, რაც შეიძლება იყოს მოსამართლის მიმართ გამოყენებული, რჩება კანონმდებლობაში. ამაზე აქტიური და ახალი რეაგირებები დაგეგმილი არ არის.

***– ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმის რატიფიცირება საქართველომ ცოტა ხნის წინ მოახდინა. აღნიშნული ოქმი საქართველოს

სამართალწარმოების პროცესში, განსაკუთრებით მაღალი ინსტანციის დონეზე სამართალწარმოებისას აძლევს შესაძლებლობას, სამართალწარმოების განხორციელებისას მიმართოს სტრასბურგის სასამართლოს შეკითხვით ევროპული კონვენციის რიგი დებულებების განმარტების თაობაზე და მისგან კონსულტაცია მიიღოს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინოვაცია. ოქმი საქართველოს მიერ უკვე რატიფიცირებულია, თუმცა ოქმის ძალაში შესვლას სჭირდება 10 სახელმწიფოს რატიფიცირება, მაგრამ ჩვენ უკვე ვემზადებით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სამართალწარმოების პროცესის ევროპული სტანდარტის გადაწყვეტილებების შექმნას, ეს ასევე შეამცირებს სტრასბურგის სასამართლოში მხარის მიმართვიანობას.

***– ძირითადად რა საქმეებს შეეხება?***

– საუბარია სამართლის სამ მიმართულებაზე: სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული წარმოების პროცესებზე, როდესაც მოსამართლე ბოლო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს ჩათვლის, რომ მან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უნდა მიმართოს და მიიღოს გარკვეული მოსაზრებები კონსულტაციის ფორმატით ევროპელი მოსამართლეებისგან, რომელიც ევროპული სასამართლოს პრეცედენტების გამოყენების საკითხსა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფას უკავშირდება სამართალწარმოების პროცესში.

***– სანამ არ მოხდება ათივე ქვეყნისგან რატიფიცირება, მე-16 ოქმი ვერ ამოქმედდება?***

– ოქმი რატიფიცირებული ათი წევრი სახელმწიფოსგან უნდა იქნეს, რომ მისი ამოქმედება მოხდეს. ჩვენ ერთ-ერთი პირველთაგანი ვართ, ვინც ამ ოქმის რატიფიცირება მოახდინა. ბუნებრივია, ამას სჭირდება ასევე მოქმედ კანონმდებლობაში, ორგანულ კანონში რიგი ცვლილებები, ასევე ამოქმედების შემდეგ სჭირდება სასამართლო კორპუსის გარკვეული მომზადება, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული მე-16 ოქმით მოცემული სამართლებრივი მექანიზმები.

* * *

***– ახალი კანონპროექტი, რომელსაც მთავარი პროკურატურა ამუშავებს და რომელმაც უნდა უზრუნველყოს უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა, დააყენებს თუ არა მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხს?***

**გიორგი პაპუაშვილი:**

– ამ საკითხზე დიდი ხანია საუბრები მიმდინარეობს, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, ვნახავთ, რა კანონპროექტი იქნება წარმოდგენილი და შემუშავებული. რამდენიმე საკითხი იქნება გასათვალისწინებელი.

***– კონკრეტულად?***

– რა კატეგორიის საქმეებზე იქნება საუბარი, რა პერიოდის და ა.შ. თუმცა, საკონსტიტუციოს სასამართლოს თავისი კომპეტენცია და საქმიანობა ისედაც არ აკლია. ამიტომ ჩვენი დიდი სურვილი არ არის, რომ ამ ტიპის საქმეები საკონსტიტუციო სასამართლოში გადმოვიდეს. უმჯობესი იქნება, თუკი რამე ხარვეზიანი საკითხი იყო, იმის გადახედვა იმ მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში მოხდეს, რომელიც უკვე არსებობს. კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი ჯერ არ არსებობს და, როდესაც იქნება, მაშინ უფრო უპრიანი იქნება ჩემი კომენტარი.



***– როგორია თქვენი პოზიცია მე-16 ოქმის ამოქმედებასთან დაკავშირებით? რაიმე სახის უთანხმოება შეიძლება იყოს?***

– არა, ნებისმიერ ცალკეულ ქვეყანას თავისი სუვერენიტეტი აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება ჩვენთვის უზენაესია, თუმცა, ამავე დროს, ჩვენ ვართ ევროსაბჭოს ნაწილი. ამდენად, ჩვენთვის ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ქვეყნისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, როდესაც ჩვენ ვეცნობით მათ გადაწყვეტილებებს, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს გადაწყვეტილებებსაც ეცნობიან. სტრასბურგის სასამართლომ რამდენჯერმე საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს ციტირებაც მოახდინა. ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზეც მიუღია თავისი საბოლოო გადაწყვეტილება. ამდენად, მე-16 ოქმის ამოქმედება ევროსასამართლოსთან ორმხრივი დიალოგის რეჟიმში უნდა იყოს და არა – წინააღმდეგობის რეჟიმში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ წიკლაური: „რუსთაველზე მასშტაბური აქციებისთვის ვემზადებით“

## „მთავრობის შეცვლა რას გვიშველის, ქვეყანას ივანიშვილი უნდა მოვაშოროთ“

### რა აკავშირებს ნაცმოძრაობას ირინა სარიშვილთან და ირაკლი წერეთელთან



შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არის ამ მთავრობის სიმბოლო ნოდარ ხადური, დააბრუნებს თუ არა საქართველოში სააკაშვილს ირაკლი წერეთლის შემწეობა, როდის იწყება მისი დაბრუნების მოთხოვნით აქციები, რატომ ითხოვენ ნაციონალები საელჩოებისგან დახმარებას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ნუგზარ წიკლაური ესაუბრება.**

***– 17 და 18 მაისს სამართალდამცავებმა რამდენიმე საათით დააკავეს ნაციონალური მოძრაობის წევრები. თქვენ დახმარებისთვის საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს მიმართეთ. ასეთი საგანგაშო იყო ეს დაკავებები?***

– ის, რაც 17 და 18 მაისს მოხდა, არ არის იშვიათი მოვლენა. პარტიულ ოფისებში, მათ შორის სათავო ოფისშიც, არაერთხელ მოგვიცვივდნენ ოპონენტები. 17 და 18 მაისს ჩვენი მომხრეები უკანონოდ დააკავეს. ისინი გურიასა და ბათუმში პლაკატებს აკრავდნენ. ეს არც კანონის დარღვევაა და არც წესრიგის. ამ პლაკატებით ადამიანები გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს. ამის უფლება კი ყველას აქვს.

***– საელჩოებს რატომ მიმართეთ?***

– იმიტომ, რომ ამ დაკავებებმა და ანგარიშსწორებამ მიიღო სისტემატური ხასიათი. მხოლოდ საელჩოებისთვის არ მიმიმართავს, არასამთავრობოებსაც მივმართე და ვითხოვე რეაგირება. იმის ნაცვლად, რომ არსებული პრობლემები მოაგვაროს, ხელისუფლება ტერორზეა გადასული. ისინი იმ ადამიანებს აპატიმრებენ, რომლებიც ამ პრობლემებზე ღიად ბედავენ საუბარს. აი, ეს ვაცნობე საელჩოებს. ყველამ უნდა იცოდეს, რა ხდება საქართველოში.

***– წინა კვირაში თქვენს განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. განაცხადეთ, სააკაშვილის დაბრუნების მოთხოვნით აქციები უნდა დავიწყოთო. როდიდან აპირებთ ამ საქმის დაწყებას და რა კავშირშია თქვენს განცხადებასთან ირაკლი წერეთელი, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს, რომ 26 მაისს სააკაშვილი აქ იყოს?***

– ისევ იმ აზრზე ვარ, რომ აქციები დასაწყებია და სააკაშვილი საქართველოში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს. შესაძლოა, ირაკლი წერეთელიც ასე ფიქრობს და ის თავისი ძალებით მართავს თავის აქციას. მე მასთან კავშირი არ მაქვს. ერთი რამეში კი ყველა ვთანხმდებით – საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დევნას აქვს ადგილი.

***– პოლიტიკური ნიშნით დევნას კატეგორიულად უარყოფს ხელისუფლება.***

– ხელისუფლება ეკონომიკური კრიზისის არსებობასაც უარყოფს და ლარის სიჯანმრთელეზე ყვება ზღაპრებს. ქვეყანაში რომ ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით დევნიან, ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთხელ დადეს დასკვნა. პოლიტიკურ დევნაზე აქვს გაკეთებული განცხადება ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

პოლიტიკური ცხოვრება რომ ნორმალურად წარიმართოს, 2 რამ არის საჭირო. პირველი, უნდა შეწყდეს სიტყვის თავისუფლების წინაალმდეგ ბრძოლა და მეორე – ყველა პოლიტიკურ ფიგურას პროცესებში ჩართვის უფლება უნდა მიეცეს.

***– მხედველობაში მიხეილ სააკაშვილი გყავთ?***

– არა მარტო მიხეილ სააკაშვილი.

***– სააკაშვილი ისედაც აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში.***

– ის გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაა და ეს ხელისუფლება მას აქტიურობას ვერ აუკრძალავს. მხედველობაში ის მაქვს, რომ მას საქართველოში დაბრუნების უფლება უნდა მიეცეს. ხელისუფლების მცდელობა, იზოლაციაში მოაქციოს მიხეილ სააკაშვილი, ამაოა. ამით ისინი ძალაუფლებას მხოლოდ ცოტა ხნით გაიხანგრძლივებენ. საბოლოო ჯამში, მივიღებთ დიდ დაპირისპირებას.

***– ეს დაპირისპირება ნაციონალების წისქვილზე დაასხამს წყალს?***

– ჩვენ არაფერში გვჭირდება დაპირისპირება. ჩვენ გვინდა, რომ ადამიანებს არჩევანის საშუალება მიეცეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველას უნდა მიეცეს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება. კარგი იქნება, თუ ამას ხელისუფლება საკუთარი ნებით გააკეთებს.

***– თუ არ დათანხმდნენ სააკაშვილის დაბრუნებას, რა მოხდება?***

– მაშინ მიზნის მისაღწევად კანონით დაშვებულ ყველა ფორმას გამოვიყენებთ. მათ შორის იქნება საპროტესტო აქციებიც.

***– აქციებს რა შემთხვევაში დაიწყებთ, რაღაც ვადას მისცემთ მთავრობას თუ რაიმე თარიღს დაამთხვევთ?***

– რა ვადა უნდა მივცეთ. ჩვენ გამუდმებით ვლაპარაკობთ იმაზე, რომ პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი. ჩვენი განცხადებების, ვთქვათ, არ სჯერათ, მაგრამ საფრანგეთის სასამართლოს მაინც დაუჯერონ, რომელმაც დავით კეზერაშვილი გაათავისუფლა და, ხელისუფლების მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს არ გადმოსცა. ცოტა ხნის წინ დათა ახალაია გაამართლა საბერძნეთის სასამართლომ. ზურაბ ადეიშვილზე ინტერპოლს წითელი ცირკულარით ჰქონდა ძებნა გამოცხადებული. ის ძებნილთა სიიდან ამოიღეს.

ეს ყველაფერი მოწმობს, რომ სამართლებრივი მექანიზმები საქართველოში პოლიტიკური ანგარისშწორებისთვის გამოიყენება. ხელისუფლებამ ამ რიტორიკაზე უარი უნდა თქვან. თუ უარს არ იტყვის, აქციებიც დაიწყება.

***– ხელისუფლება ყოფილი ჩინოსნების დაკავებას სამართლიანობის აღდგენად თვლის. ახლა შეცვლის პოზიციას?***

– ჩვენ ამის შესახებ იქიდან მოყოლებული ვსაუბრობთ, რაც ხელისუფლება „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარა. ახლა კიდევ ერთხელ ვაკეთებთ განცხადებას და, თუ გონს არ მოეგებიან, სერიოზულ საპროტესტო აქციებს დავიწყებთ. იმ ქვეყანას მომავალი არ აქვს, რომელსაც პოლიტპატიმრები ჰყავს. ასეთი ქვეყანა ევროპასა და ნატოში ინტეგრაციას ვერასდროს მოახერხებს.

***– დღევანდელ ხელისუფლებას ჰყავს პოლიტპატიმრები?***

– რა თქმა უნდა, ჰყავს. პოლიტპატიმრებიც ჰყავს და პოლიტდევნილებიც.

***– როცა ქვეყანას ნაციონალური მოძრაობა მართავდა, მაშინ საქართველოს პოლიტპატიმრები არ ჰყოლია?***

– ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოს პოლიტპატიმრები არ ჰყოლია.

***– ეს თქვენ ამბობთ ასე, თორემ ოპონენტებს სხვა აზრი აქვთ. ამ პარლამენტმა 200-მდე ადამიანს მიანიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი. ამაზე რას იტყვით?***

– რა უნდა ვთქვა. ეს კომიკური თემაა, რადგან საქართველოს პოლიტპატიმრები არ ჰყოლია.

***– თუმცა არსებობს პარლამენტის დადგენილება და არსებობს პოლიტპატიმრების სია.***

– ამ სიებში პოლიტპატიმრები არ არიან. სიაში, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობამ შეადგინა, კრიმინალები არიან შეყვანილი. პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭეს რუსეთის ჯაშუშებს.

***– მაგალითად, ვინ არის რუსეთის ჯაშუში?***

– თუნდაც შვირნიკოვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეც კი არ არის და პირდაპირ რუსეთის ჯაშუშია. ამ სიაში მოხვდნენ ადამიანები, რომლებიც დეზინტეგრაციის პროცესებს უწყობდნენ ხელს. მათი თვალსაჩინო წარმომადგენელი ვაჰაგან ჩახალიანი გახლავთ.

ამ სიების შედგენის დროს ადგილი ჰქონდა როგორც ანგარებას, ასევე მდაბიო პოლიტიკურ ინტერესებს.

***– ვისი მხრიდან ჰქონდა ამას ადგილი?***

– სიების შემდგენთა მხრიდან. ამ სიების შედგენაში, საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად, რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებიც მონაწილეობდნენ. ის სია, რომელიც მაშინ შეიმუშავეს, ერთ-ერთი ყველაზე შავი ლაქა იქნება „ქართული ოცნების“ წევრებისთვის.

***– 26 მაისს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას რუსთაველზე აპირებს. თქვენ აპირებთ რამის გამართვას?***

– რუსთაველზე ვერც შეკრებას აგვიკრძალავენ და ვერც გავლას. იმ არასამთავრობოებთან ერთად რუსთაველზე ყოფნის სურვილი არც ჩვენ გვაქვს. ისე, ყველამ იცოდეს, რომ რუსთაველზე მასშტაბური აქციები და მიტინგები გაიმართება. საამისოდ აქტიური მუშაობა გვაქვს დაწყებული.

***– 26 მაისს აპირებთ თუ არა აქციის გამართვას?***

– ამ ეტაპზე 26 მაისს არანაირი აქციის გამართვას არ ვაპირებთ. თუ საჭიროდ ჩავთვლით, აუცილებლად გავმართავთ. მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია და ვერც ხელისუფლება შეგვაშინებს ისე, რომ აქციების მოწყობა გადავიფიქროთ.

***– ბოლო ხანებში აშკარად შესამჩნევი გახდა ირინა სარიშვილისა და ირაკლი წერეთლის ნაციონალებთან დაახლოება. არადა, რამდენიმე წლის წინ ამ პოლიტიკოსებს თქვენი თანაპარტიელები სულ აკრიტიკებდნენ. ასე გაუჭირდა ნაცმოძრაობას, რომ მათი მხარდაჭერა დაგჭირდათ?***

– ირინა სარიშვილი და ირაკლი წერეთელი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ორივე მათგანზე ერთიანად საუბარი შეუძლებელია. მე ვერ დაგეთანხმებით, რომ ისინი დღეს ჩვენთან არიან, თანაც მათმა მხარდაჭერამ რა უნდა მოგვიტანოს. არც ერთ მათგანს საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერა არ აქვს, რომ გაჭირვების შემთხვევაში მათ იმედზე ვიყოთ.

რაც შეეხება მათ პოზიციას, ჩვენ საკუთარი აზრი გამოთქმას ვერავის ავუკრძალავთ. ისინიც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებას. სარიშვილისა და წერეთლის ამბავი კარგად ასახავს ქვეყანაში არსებულ სურათს.

***– რა სურათს?***

– სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები თანხმდებიან ერთ რამეზე – ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო დაპირებები არ შეასრულა, ხალხი მოატყუა და ქვეყანა სტაგნაციისკენ წაიყვანა.

***– ამ უკმაყოფილო და, როგორც თქვენ ამბობთ, გადაგდებულ ხალხთან გაერთიანდებით?***

– ნაციონალურ მოძრაობაში გაწევრიანება ძალიან ადვილია და ყველა მსურველს შეუძლია ამის გაკეთება.

***– გაწევრიანება გასაგებია, მაგრამ ხელისუფლების წინაალმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას თუ აპირებთ?***

– უნდა იყოს თუ არა ერთიანი ფრონტი ივანიშვილის წინაალმდეგ, ამ დღის წესრიგს ნაციონალური მოძრაობა არ წერს. რაღაც გაერთიანება, ალბათ, მოხდება.

***– ივანიშვილის წინაალმდეგ ისეთი პოლიტიკოსებიც გამოდიან, რომლებიც ნაციონალებს გულზე არ გეხატებათ. მათთან ერთად დადგებით ხელისუფლების წინაალმდეგ?***

– პოლიტიკა უცნაური რამეა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ინტერესები ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს. მერე ისევ იყრება მათი გზები. ვნახოთ, რა მოხდება. რაღაც ეტაპზე თუ ჩამოყალიბდა ერთობის შექმნის აუცილებლობა. ამაზე დაიწყება საუბარი.

***– შეგიძლიათ, დაგვისახელოთ ის ძალა, რომელთანაც რაიმე ტიპის გაერთიანებას აპირებთ?***

– სიმართლე რომ გითხრათ, ოპოზიციურ ფლანგზე მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ძალას ვერ ვხედავ. არ ჩანს ისეთი ძალა, რომელთანაც შესაძლოა, კოალიციის შექმნაზე ვიფიქროთ.

ხელისუფლების საქმიანობით ბევრია უკმაყოფილო, მაგრამ მხოლოდ უკმაყოფილება კოალიციის შესაქმნელად საკმარისი არ არის. „ქართული ოცნების“ უმოქმედობის წყალობით უკმაყოფილოთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

***– ხელისუფლება პირობას დებს, რომ არსებულ პრობლემებს მაისის ბოლომდე გამოასწორებს, ყოველ შემთხვევაში, სჯერათ, რომ თვის ბოლოს ლარის კურსს დაარეგულირებენ.***

– თვის ბოლოს მართლა მოხდება ცვლილებები. დაგეგმილი 5%-იანი ეკონომიკური ზრდა 2%-მდე შემცირდება. ეს მოხდება ივნისის ბოლოსთვის.

***– ლარის კურსის დასტაბილურების შანსებზე რას გვეტყვით?***

– ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს. შესაბამისად, არ გვჯერა, რომ ლარის კურსი დასტაბილურდება. რაც ხდება, ხელისუფლების ბრალია.

სრულიად გაუცნობიერებლად მოხდა სავიზო რეგულაციების შემოღება, რომელიც თეა წულუკიანმა მოიწონა. ეკონომიკას დარტყმა მიაყენა ჩვენი ჩინოსნების ზღვარგადასულმა მადამ. ეკონომიკურ კოლაფსს ხელი საგარეო რისკებმა შეუწყო. ეს მთავრობა სრულად არის დისკრედიტებული. არ მჯერა, რომ ხადური ამ ვითარებას გამოასწორებს.

***– ხელისუფლებას ამისი სჯერა.***

– ნეტარ არიან მორწმუნენი! მე, პირადად, ხადურის მიერ ეკონომიკის გადარჩენის არ მჯერა.

***– ხადურს თუ გაუშვებენ მთავრობიდან, გადარჩება ეკონომიკა?***

– ხადური იმ უნიათობისა და უუნარობის სიმბოლოა, რომელსაც დღეს საქართველოს მთავრობაში აქვს ადგილი. ის მთავარი დამნაშავე არ არის. არც მისი და არც მთელი მთავრობის შეცვლა არაფერს გვიშველის, ქვეყანასა და ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილი უნდა მოვაშოროთ.

***– ივანიშვილი ხელისუფლებაში ისედაც აღარ არის.***

– ოფიციალურად აღარ არის, თორემ ყველა გადაწყვეტილებას ეგ იღებს. მინისტრების შეცვლას პრემიერს არავინ ეკითხება. ამას ივანიშვილი აკეთებს. მან ისე წარადგინა თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად, ირაკლი ღარიბაშვილმა არაფერი იცოდა. უკეთესი იქნებოდა, ის დარჩენილიყო მთავრობის მეთაურის პოსტზე.

***– პრემიერად ივანიშვილის დაბრუნებას ითხოვთ?***

– მსგავსი რამე როგორ შეიძლება, მოვითხოვო? უბრალოდ, თუ ის პრემიერად დაბრუნდება, უფრო უკეთესი იქნება, რადგან მაინც ეგ იღებს გადაწყვეტილებას. მაგრამ მას არც პრემიერის რანგში უნდა ქვეყნის მართვა. საამისოდ ქურდულ-მაფიოზური გზა აირჩია და ჩრდილიდან მართავს ქვეყანას. ამიტომაც ვამბობ, რომ ის ქვეყანას უნდა ჩამოვაცილოთ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო შატბერაშვილი: „ხელისუფლებას შეუძლია, ვალუტის გაუფასურება შეაჩეროს“

## ქვეყანაში 900 მლნ ლარი „შავი ფული“ ტრიალებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის

შორენა კოწოწაშვილი

**რა კავშირშია მიხეილ სააკაშვილი ლარის გაუფასურებასთან, რა „შავი ფული" ტრიალებს ეროვნული ბანკის დახმარებით და რატომ დუმს გამოძიება? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „მემარცხენე ალიანსის" ერთ-ერთ ლიდერ სოსო შატბერაშვილთან.**



*– ბატონო სოსო, ხელისუფლება პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს არ აღიარებს. გაუჭირდება მთავრობას კრიზისიდან გამოსვლა იმ ფონზე, როცა ლარი გაუფასურებას განაგრძობს?*

– დღეს ნამდვილად არის არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური კრიზისიც. ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის იწვევს პოლიტიკურ კრიზისს და – პირიქით. პირველი და ყველაზე მთავარი: ხელისუფლებას ნამდვილად შეუძლია, ვალუტის გაუფასურება შეაჩეროს. ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება, მაგრამ, ჩვენი პარტიის აზრით, დღეს ნამდვილად ადგილი აქვს საბოტაჟს, სპეციალურად ახდენს ლარისთვის ძირის გამოთხრას, რათა დღევანდელი ისედაც იმიჯდაცემული ხელისუფლება უფრო დაბალრეიტინგული გახდეს.

*– ეს კრიზისი უფრო საბოტაჟის ნიშნებია, რომელზეც ექსპერტების ნაწილი საუბრობს თუ მნიშვნელოვანი წილი მთავრობის არაკვალიფიციურობაზე მოდის?*

– ქვეყანაში ტრიალებს 900 მლნ ლარი „შავი ფული“, რომელიც ეკუთვნის მიხეილ სააკაშვილს. ეს ფული განკუთვნილია სპეციალურად იმისათვის, რომ ლარის კურსს ძირი გამოუთხარონ. ლარის კურსის ძირის გამოთხრით, რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილს შორეული ინტერესები აქვთ, რათა ამ ხელისუფლების დისკრედიტაცია მოახდინონ, მოაწყონ ქვეყანაში არეულობა, სოციალური ბუნტი და ამ ფონზე აპირებს ის შემოდგომაზე საქართველოში დაბრუნებას. ეს 900 მლნ ლარი შემდეგი სქემით მუშაობს: ყოველ კვირა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ხდება დიდი რაოდენობით დოლარის შესყიდვა. დოლარი ხდება დეფიციტური. როცა დეფიციტური ხდება, დოლარი მყარდება. არადა, პირიქით უნდა ხდებოდეს – ლარის შესყიდვა უნდა ხდებოდეს, რომ ლარი გახდეს დეფიციტური და გამყარდეს. ეს 900 მლნ ტრიალებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ ირაკლი ქადაგიძის მეშვეობით. ამიტომ ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ირაკლი ქადაგიძის გადაყენებას საქართველოს პრეზიდენტის მიერ, პარლამენტისგან კი მოვითხოვთ ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის გადაყენებას.

*– რა იცით, რომ ეს 900 მლნ ლარი, რაზეც საუბრობთ, მიხეილ სააკაშვილის ფულია და თანაც – „შავი ფული“?*

– ჩვენ სანდო წყაროსგან გვაქვს კონფიდენციალური ინფორმაცია. წყარო არის კომპეტენტური და ვიცით, რომ „შავი ფული“ ტრიალებს. სამწუხაროდ, არც პრეზიდენტი და არც პარლამენტი ირაკლი ქადაგიძის იმპიჩმენტისთვის ერთ ნაბიჯსაც კი არ დგამენ. პირიქით, ქვეყანაში პანიკა ითესება, რომ შეიძლება, 1 დოლარი 7-8 ლარი გახდეს. ეს იქნება აბსოლუტური კატასტროფა. ამიტომ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, სამართალდამცავებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება ამ საკითხზე და საბოტაჟის მომწყობები გამოავლინონ.

*– თქვენი საუბრიდან გამოდის, თითქოს მმართველი გუნდის ინტერესებში არ არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ საიმპიჩმენტო პროცედურის დაწყება. ამას სხვა ახსნას უძებნით თუ გარიგების ნიშნებს ხედავთ ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის?*

– მიმაჩნია, რომ ამ ხელისუფლებაში საკმაოდ არიან ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრები, ყოფილი, მაგრამ ერთგული წევრები და ნაციონალური მოძრაობის მოტრფიალეები. ისინი ნაციონალებს თანაუგრძნობენ ანუ არის შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ეს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგაც ხდება, მაგრამ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ნაკლებად გვადარდებს. ჩვენ გვადარდებს ჩვენი ქვეყანა და ხალხი, რომლის ჯიბესაც პირველ რიგში ურტყამს ეს ინფლაციური პროცესი.

*– თუ ეროვნული ბანკი ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯებით არის დაკავებული, ამას შესაბამისი უწყებები ვერ ხვდებიან? რატომ არ იწყება სამართლებრივი პროცედურები?*

– ხვდებიან, მაგრამ წაყრუების პოლიტიკას ირჩევენ, რადგანაც, კიდევ ერთხელ გიმეორებთ: მოკალათებულნი არიან როგორც მთავარ პროკურატურაში, შს სამინისტროში, ასევე ფინანსურ პოლიციაში და ა.შ. ანუ შესაბამისი უწყებები დუმილს ამჯობინებენ.

*– რას ამბობთ, „ოცნება“ შეგუებულია, რომ ისევ ნაციონალები ბრუნდებიან?*

– ნაციონალებს აქვთ ასეთი დაპირება, რომ აუცილებლად დაბრუნდებიან. ამას საჯაროდაც აცხადებენ. ისე არიან გათავხედებული, რომ თარიღებს პირდაპირ აცხადებენ. მოგეხსენებათ, ეროვნული მოძრაობის „ბელადმა“ ირაკლი წერეთელმა შიმშილობაც კი გამოაცხადა სააკაშვილის დაბრუნების მო[...]ხოვნით და ტერაქტით იმუქრება 26 მაისს, თუ სააკაშვილი არ დაბრუნდება. ნაციონალური მოძრაობა სერიოზულად მუშაობს, მათ შორის – ყავლგასულ პოლიტიკოსებთან.

# ილია მეორე: „საქართველოს არჩეული აქვს ევროპის გზა“

## პატრიარქმა ავსტრიის პრეზიდენტი მიიღო

**გუშინ, 19 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ავსტრიის პრეზიდენტ ჰაინც ფიშერს, მის მეუღლე მარგის ფიშერსა და ავსტრიის დელეგაციის წევრებს საპატრიარქოში უმასპინძლა.**



შეხვედრის დასაწყისში კათოლიკოს-პატრიარქი ავსტრიის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტს მიესალმა და ამ ვიზიტს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი უწოდა.

– ჩვენ მოხარული ვართ, რომ შედგა თქვენი ვიზიტი საქართველოში. დიდად ვაფასებთ თქვენს ისტორიას, კულტურას ვიცნობთ კარგად. თქვენი ვიზიტი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან დარღვეულია საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა, ოკუპირებულია აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი და იქიდან ვიყავი არჩეული საქართველოს პატრიარქად. ამიტომ ჩემთვის მტკივნეული საკითხია აფხაზეთი და ცხინვალი, ეს არის ღია ჭრილობა საქართველოს სხეულზე. ჩვენ კიდევ ერთხელ გულითადად მოგესალმებით და ვფიქრობთ, რომ ვიზიტი იქნება დასაწყისი ახალი ურთიერთობისა საქართველოსა და ავსტრიას შორის, – აღნიშნა უწმინდესმა.

თავის მხრივ, ავსტრიის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ეს მისთვის, მისი მეუღლისა და დელეგაციის წევრებისათვის დიდი პატივია.

– გავეცანით თქვენს პიროვნებას, დეტალურად შევისწავლეთ თქვენი ბიოგრაფია და თქვენი როლი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს, – განაცხადა ჰაინც ფიშერმა.

ავსტრიის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი, რაც კათოლიკოს-პატრიარქს უფლებამოსილებას აძლევს, გარკვეულ საკითხებში პოზიცია დააფიქსიროს.

მანვე მიუთითა, რომ ავსტრიაში კანონით უზრუნველყოფილია როგორც წამყვანი რელიგიების, ისე ყველა რელიგიური უმცირესობის სტატუსი.

* * *

ავსტრიის პრეზიდენტი დაინტერესდა ილია მეორის მოსაზრებით ორ საკითხთან დაკავშირებით – როგორ უყურებს ის საქართველოს ხელისუფლების ევროპულ არჩევანს და როგორ წარმოუდგენია თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობები, კერძოდ, რა უნდა გაკეთდეს ამ თვალსაზრისით. ფიშერმა განმარტა, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებში გულისხმობს, როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე ქართულ და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობებს.

– საქართველოს არჩეული აქვს ევროპის გზა. საქართველოს სურს, რომ გახდეს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების ნაწილი, წევრი. ეს ჩვენი არჩევანი ძალიან მტკიცეა და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ ამას. რაც შეეხება ეკლესიებს შორის ურთიერთობას, რთული ურთიერთობაა, – ბრძანა უწმინდესმა და დასძინა, რომ რუსეთს არ სჭირდება აფხაზეთი, რუსეთს სჭირდება მშვიდობიანი საქართველო.

# ზურაბ ტყემალაძე: „ტურისტულ სეზონზე ლარის კურსი გამყარდება“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე ზაფხულში ტურისტების მატებასთან ერთად ლარის კურსის დასტაბილურებას ვარაუდობს.**

ქვეყნის ხელისუფლებისთვის ბოლო დროის მთავარი პრობლემა ლარის გაუფასურების შეჩერებაა. ზურაბ ტყემალაძე და არა მხოლოდ ის ზაფხულის სეზონს იმედით უყურებს.

– ტურისტული სეზონი ლარის კურსის გამყარებას ხელს შეუწყობს, ტურისტების შემოსვლას უცხოური ვალუტის შემოტანა, კონვერტაცია და ხარჯვა მოჰყვება. – აცხადებს ზურაბ ტყემალაძე.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის („იბიარდის“) კონფერენციის თბილისში გამართვა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზურაბ ტყემალაძემ „კვირას“ პრესკლუბში შეაფასა.

ზურაბ ტყემალაძეს იმედი აქვს, რომ „იბიარდი“ საქართველოში ინვესტირებას მომავალშიც გააგრძელებს.

– „იბიარდი“ ერთ-ერთი სერიოზული ინვესტორია, რომელმაც საქართველოში დააბანდა 2.600.000.000 დოლარი. ღონისძიებას სხვადასხვა ქვეყნის საკმაოდ მაღალი წარმომადგენლობა და ბიზნესმენების დიდი სპექტრი ესწრებოდა. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს საინვესტიციო პირობებით კიდევ ერთხელ დაინტერესდებიან და კვლავაც მოახდენენ ინვესტირებას საქართველოში. – განაცხადა ზურამ ტყემალაძემ.

*– საქართველოში სავალუტო ფონდის მისია ჩამოდის. რასთან არის დაკავშირებული მათი ვიზიტი?*

– სავალუტო ფონდის წარმომადგენლობის ვიზიტი საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა. ისინი კვარტალში ერთხელ ჩამოდიან, ეკონომიკურ პროცესებს აკვირდებიან და თავიანთ რეკომენდაციებს გასცემენ. მთავრობა ზოგს ითვალისწინებს, ზოგს – ვერა, ზოგს მთლიანად ითვალისწინებს.

*– ლარის კურსთან დაკავშირებით იქნება საუბარი?*

– არა მარტო ლარის კურსთან, ძირითადად იქნება მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით. რეკომენდაცია იქნება ბიუჯეტის შესრულებასთან მიმართებით. ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი, მთავრობის გადაწყვეტილებით, შემცირდა 2 პროცენტამდე. ასევე გამოქვეყნდა სავალუტო ფონდის პროგნოზი, რომ მომავალ წელს იყოს 2% ზრდა, მომავალ წელს კი – 3%. შეიძლება, მავანს მოეჩვენოს, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2 პროცენტი დაბალია, მაგრამ ეს მონაცემები ჩვენს რეგიონში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის პროცენტია.

*– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენა როდის არის განსაზღვრული?*

– სავარაუდოდ, ორ კვირაში მოვუსმენთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ვაგვიანებთ, მაგრამ დრო გვაქვს. არსებობს კითხვები, რომლებზეც, შეიძლება, საჯაროდ პასუხი ვერ მივიღოთ. საკმაოდ სერიოზული ნაშრომია, რომელსაც გაანალიზება სჭირდება.

*– შეგიძლიათ გვითხრათ, რა შეკითხვები გაქვთ ამ ეტაპზე?*

– ძალიან ბევრი შეკითხვაა მათი მოხსენებიდან გამომდინარე.

*– ლარის კურსთან დაკავშირებით იქნება კითხვები?*

– ლარის კურსთანდაკავშირებით ნამდვილად იქნება შეკითხვები, მაგრამ კითხვები არ იქნება მხოლოდ 2014 წელთან დაკავშირებით, მიმდინარე პროცესებზეც ვერ ავცდებით კითხვებს. როგორც ცნობილია, ლარის გაუფასურება გასული წლის ბოლო თვეებიდან დაიწყო. აქედან გამომდინარე, კითხვები ამასთან დაკავშირებითაც გვექნება. რეფინანსირების ოდენობა გაიზარდა. იქ არის მთელი რიგი კითხვები, რომლებსაც პასუხები სჭირდება, მაგალითად, რა მიმართულებით იყო გამოყენებული სესხები. ეს არის 7-დღიანი სესხი. 7-დღიან სესხს ეკონომიკური მიმართულებით ვერ უზრუნველყოფ. გარკვეული სტანდარტის მიმართულებით არის გამოსაყენებელი. არავინ ამბობს, რომ აქ რაღაც საშინელება ხდება, მაგრამ კითხვები არსებობს და პასუხი უნდა გაეცეს.

*– შესაძლებელია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენა დახურულ ფორმატში გაიმართოს?*

– არა, დახურულ ფორმატში რატომ უნდა განვიხილოთ?

*– თქვენ განაცხადეთ, რომ არის ისეთი კითხვები, რომლებზეც საჯაროდ პასუხი არ შეიძლება.*

– არის კითხვები, რომლებიც კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს და შეიძლება სადეპუტატო კითხვა გაიგზავნოს. რა თქმა უნდა, კონფიდენციალობას დავიცავთ.



*– კომერციული ბანკების ტრანზაქციებთან დაკავშირებით გაჩნდა ეჭვი. ვიცეპრემიერმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ მთავრობამ არ იცის, კომერციული ბანკები რა ტრანზაქციებს ახორციელებენ ანუ ეს საკითხი ეჭვს იწვევს?*

– ყველაფერი, რაც მიმდინარეობს, წარმოებს, ბუნებრივია, შეიძლება იყოს საეჭვო, შეიძლება, არ იყოს საეჭვო. აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული ტრანზაქციები საეჭვოა და რაღაც უბედურება ხდება, მე არ შემიძლია. ყველა შემთხვევაში მე ვიცავ უდანაშაულობის პრეზუმფციას.

*– კონტროლი ხომ ეროვნული ბანკის მხრიდან ხორციელდება. ე.ი. ეჭვი გაჩნდა ასევე, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან კონტროლი არ ხორციელდება?*

– კი, რა თქმა უნდა. ეჭვი იმის თაობაზე, რომ ეროვნული ბანკი აგვიანებს იმ ქმედებებს, იმ ბერკეტების გამოყენებას, რომლებიც მის ხელშია და იგი უნდა ახორციელებდეს კონტროლს, ცხადია, არის. ეჭვი რომ გაიფანტოს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიში უნდა მოვისმინოთ და ვნახოთ, რა ხდება.

*– ეროვნული ბანკის მხრიდან შეგნებულ ქმედებებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ვთქვათ, იმავე ლარის გაუფასურების პროცესზე ეროვნული ბანკის დაგვიანებულ რეაგირებასთან დაკავშირებით?*

– წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება, რომ შეგნებულ ქმედებებსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი და არაშეგნებულსაც. ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ აპრიორი ასეა, მაგრამ, იმასაც ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ ეს ასე არ არის.

# „ალექსანდრე კვიტაშვილთან ერთად, თანამდებობას ეკა ზღულაძეც დატოვებს“

შორენა მარსაგიშვილი

**უკრაინის მთავრობაში წმენდა დაიწყო. ამ ეტაპზე აღმასრულებელ ხელისუფლებას უცხოელებისაგან ათავისუფლებენ. ამ წმენდაში ჩვენებურებიც მოყვნენ. 18 მაისს თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა ჯაბა ებანოიძემ, რომელიც უკრაინის იუსტიციის სამინისტროში სარეგისტრაციო დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა.**

ებანოიძის თქმით, ამ დეპარტამენტს არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა და მას რეფორმების გატარების შესაძლებლობებს არ აძლევდნენ. უფუნქციოდ ყოფნას ებანოიძემ პოსტიდან წასვლა არჩია.

გუშინ, 19 მაისს, თანამდებობა კიდევ ერთმა უცხოელმა დატოვა. ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრ აივარას აბრამავიჩუსის მრჩეველი, ესტონეთის მოქალაქე იანიკა მერილო, უკრაინის მთავრობაში აღარ მუშაობს.

მედიასთან საუბარში მერილომ განაცხადა, რომ მან თანამდებობა იდეური კონფლიქტის



გამო დატოვა.

მერილოს განცხადებით, მისთვის პრიორიტეტული ელექტრონული მმართველობის დაგეგმვაა, თუმცა სამინისტრო მის იდეას არ იზიარებდა.

უკრაინული მედიის ცნობით, მათი მთავრობიდან სხვა უცხოელებიც წავლენ, ამჯერად – უფრო მაღალი რანგის პირები.

„ახალი თაობა“ უკვე იუწყებოდა, რომ უკრაინის რადაში შევიდა დადგენილება, რომლის თანახმადაც, თანამდებობიდან უნდა გაათავისუფლონ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი.

კვიტაშვილის შესაძლო გათავისუფლებაზე უკრაინელი პოლიტიკოსებიც აქტიურად საუბრობენ.

უკრაინის გლობალური სტრატეგიის ცენტრის ხელმძღვანელის, პოლიტოლოგ ვადიმ კარასევის განცხადებით, უახლოეს მომავალში უკრაინაში საქართველოს ყოფილი მოქალაქეების, უკრაინის შს მინისტრის პირველი მოადგილის ეკატერინე ზღულაძისა და ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილის გადადგომასაც უნდა ველოდოთ.

კარასევის ხელთ არსებული ინფორმაციით, თანამდებობას ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრი აივარას აბრამავიჩუსიც დატოვებს.

უკრაინულ მედიასთან საუბარში კარასევმა განაცხადა, რომ ქვეყნის მთავრობაში ქაოსია და ინტერესთა კონფლიქტს აქვს ადგილი.

**ვადიმ კარასევი:**

– ვვარაუდობ, რომ დიდხანს ვერც კვიტაშვილი, აბრამავიჩუსი და ზღულაძე გაძლებენ. მათი რეფორმებისთვის თანხას არავინ გამოყოფს. ახლა უკრაინაში ყველაფერი არეულია და ინტერესთა დიდი კონფლიქტია.



საქართველოში უკრაინის მთავრობიდან ქართველების წამოსვლას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. უკრაინაში თანამდებობებზე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები დაინიშნნენ. აქედან გამომდინარე, ადვილად მისახვედრია, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ ამბით გახარებული იქნება.

თბილისში იმედოვნებენ, რომ ჯაბა ებანოიძის გზას მალე სხვებიც დაადგებიან. თუ ასე მოხდა, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს დიდი ჯაფა დაადგება.

იმისათვის, რომ უკრაინაში მაღალი თანამდებობები მიეღოთ, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვეს. მათთვის მოქალაქეობის დაბრუნება მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია.

# მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი დამემუქრა, „ქართული ოცნების“ ხელით გაგისწორდებიო“

## „რესპუბლიკელებს ნაციონალურ მოძრაობასთან მუდმივი კულუარული მოლაპარაკებები აქვთ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე და დამფუძნებელი მირიან მირიანაშვილი ნაცმოძრაობის დასაბრუნებლად ბრძოლის ახალ ეტაპს იწყებს. „ახალი თაობა" მას სხვა საკითხებზეც ესაუბრა.**

**მირიან მირიანაშვილი:**

– ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ვიწყებთ ბრძოლის ახალ ეტაპს. ამისათვის პროკურატურაში შეგვაქვს განცხადება. პროკურატურისაგან მოვითხოვთ პასუხს იმაზე, რატომ არაფერი გაკეთებულა ჩვენს საქმესთან დაკავშირებით. გარკვეულ ეტაპზე პროკურატურის შენობასთან საპროტესტო აქციებსაც მოვაწყობთ. ეს აქციები ხალხმრავალი იქნება. საამისოდ საკმარისი მხარდამჭერი შემოვიკრიბე. სხვა გზა არ დაგვიტოვეს. პროკურატურამ გააჭიანურა იმ საქმის დამთავრება, რომელიც, ფაქტობრივად, გამოძიებულია. არსებობს უამრავი მტკიცებულება და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პარტიის უკანონოდ ხელში ჩაგდებას სააკაშვილის მიერ. პროკურატურამ ამ მასალებს წაუყრუა და საქმეს მსვლელობა არ მისცა. არადა, ამდენი მტკიცებულების ფონზე გამოსაძიებელიც არაფერი იყო.

***– ანუ იმედი დაკარგეთ, ამ საკითხში რომ პროკურატურა სამართლიანობას აღადგენს?***

– თავიდან მოთმინებით ველოდით, რომ რაღაც შეიცვლებოდა.. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ ასეთი უმოქმედობა და უსუსურობა გამოიჩინა. ჩვენ მოკავშირეები ვერც სხვაგან მოვიძიეთ. აქტიური ოპოზიციის უმეტესობა თანამშრომლობს ნაცმოძრაობასთან. ხელისუფლებაშიც არაერთი პირია, რომელიც შეკრულია სააკაშვილთან და მის მიმდევრებთან. ზოგ მათგანს ნაციონალებთან ბიზნესწილები აკავშირებს, ზოგი კომპრომატების გამოა მათზე მიბმული, თუმცა, საერთო სიტუაცია იცვლება. ჩნდება სამართლიანობის აღდგენის დაჩქარების მოწოდებები. საზოგადოებაში ნაკლებად არის იმის იმედი, რომ ხელისუფლება, სამართალდამცავი ორგანოები გამოიძიებენ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ჩემი მომხრეთა რიგებიც გაიზარდა. ყველაფერი ამწიფებს ახალ რეალობას და ჩვენც ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავდივართ.

***– ნაციონალებთან მოთანამშრომლე ხალხს რას უზამთ?***

– ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების გარდა, ნაცმოძრაობასთან მუდმივი კულუარული კომუნიკაცია აქვს რესპუბლიკურ პარტიას. ეს პარტია ბოლო დროს ხელისუფლების მთავარი საყრდენი გახდა. ჩნდება კითხვა – აგვიხსნან, რა სიკეთე



მოაქვს ქვეყნისათვის იმას, რომ რესპუბლიკელები და ნაციონალები მუდმივად თანამშრომლობენ? თუ ეს აუცილებელი და კარგია, რატომ არის ეს თანამშრომლობა კულუარული? სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ ბევრ რამეში უუნარო აღმოჩნდა. მოსალოდნელია, რომ ცოტა ხანში მთავარი ბრძოლა გაიშლება რესპუბლიკელებსა და ნაციონალებს შორის.

***– გინდათ თქვათ, რომ ისინი ერთმანეთთან აღარ ითანამშრომლებენ?***

– როგორ არ ითანამშრომლებენ! საქმეც ეგაა, რომ ერთად იქნებიან, მაგრამ დაპირისპირების იმიტაციას შექმნიან. ძლიერი სტრუქტურებისა და რესურსების მქონე ნაცმოძრაობასთან შედარებით, რესპუბლიკური პარტია კამერული და ურეიტინგო ჯგუფია. რესპუბლიკური პარტია ვერასდროს აღწევდა ვერაფერს ძლიერი პარტნიორების გარეშე.

***– ნაცმოძრაობის ლიდერები და წევრები უკრაინაში რეფორმებს ატარებენ. უცხოური მედია წერს იმაზე, რომ აშშ უკმაყოფილოა უკრაინაში რეფორმების მიმდინარეობით.***

– რა რეფორმების გამტარებლები არიან ნაციონალები! უკრაინაში ეგენი არანაირ რეფორმებს არ ატარებენ. ძარცვისა და ომის წარმოება ერთდროულად შეუძლებელია, ამიტომ ჩიხში აღმოჩნდნენ. სააკაშვილი და სხვები იქ იმიტომ არიან, რომ მერე საქართველოში მოხდეს მათი დესანტირება. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში არაერთ პოლიტიკოსს ვიცნობ. მათზე დაყრდნობითაც და სხვა ინფორმაციების საფუძველზეც დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ აღმოსავლეთი ევროპისათვის ძალიან მტკივნეულია უკრაინაში დიდი დაძაბულობის კერის არსებობა. საფრთხე მათ კარს მიადგა. აღმოსავლეთევროპელი პოლიტელიტისათვის სამოთხე იქნება, თუ დაძაბულობის კერა საქართველოში გადმოინაცვლებს. ამის გარანტორი სააკაშვილია.

***– სააკაშვილის დევნილობასა და მისი დაბრუნების აუცილებლობაზე ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელიც ალაპარაკდა.***

– მისი განცხადებები საზოგადოებამ სერიოზულად არ აღიქვა. ნაცმოძრაობას ეროვნული მოძრაობის ფრაგმენტების ჩართვა თავის ზრახვებში დიდი ხანია, უნდა. დანამდვილებით ვიცი, რომ ნაცმოძრაობა შიმშილობის აქციას იმ ზვიადისტების მონაწილეობით გეგმავდა, რომლებიც მასთან არიან. ეს 21 მარტის მიტინგის შემდეგ იგეგმებოდა. ეს მიტინგი კრახით დასრულდა. ამის გამო ზვიადისტების შიმშილობის აქცია ჩაიშალა. ახლა ნაციონალებს მომავალ მიტინგამდე პაუზა აქვთ. ეს პაუზა ირაკლი წერეთლის შიმშილობით შეავსეს, უფრო სწორად, უნდოდათ ამაზე საინფორმაციო ტალღის აგორება, მაგრამ არ გამოუვიდათ. საზოგადოებაში ამან მხოლოდ ირონიული დამოკიდებულება გამოიწვია. ერთი მესიჯის გახმიანებაც უნდოდათ. ნაციონალებმა მიმართეს პოლიტიკურ ჯგუფებს, გვერდით დაუდგნენ რაღაცის სანაცვლოდ. დაიწყო ღია ვაჭრობა.

***– სააკაშვილი კიდევ გითვლით მუქარებს?***

– ბოლო მუქარა მაისის დასაწყისში შემომითვალა. მაშინ ნაცმოძრაობის რამდენიმე წევრთან მქონდა შეხვედრა. სააკაშვილი დამემუქრა, თუ ჩემს მომხრეებთან შეხვედრებს, ასევე პარტიის გამო პროკურატურასა და სასამართლოში ჩივილს თავს არ დაანებებ, „ქართული ოცნების“ ხელით გაგისწორდებიო. ამისი არ მეშინია. ეს მუქარა იმაზე მიანიშნებს, რომ სააკაშვილს „ოცნებაში“ თავისიანები ჰყავს.

# თეა წულუკიანი: „ნაცმოძრაობა სიცოცხლისთვის საშიშ ნივთებს იუსტიციის სახლის სახურავში მალავდა“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობას იუსტიციის სახლის სახურავში სიცოცხლისთვის საშიში ნივთები დაუმალეს. მან ეს განცხადება დღეს გააკეთა. შენობიდან სამშენებლო მასალები 19 მაისს გაიტანეს.

თეა წულუკიანი:

– მაშინ, როცა მიშა სააკაშვილს წინასაარჩევნოდ სწრაფად, უხარისხოდ უნდა დაესრულებინა და გაეხსნა 2012 წლის შემოდგომაზე ეს სახლი, სახურავში ნაგავი ჩარჩა, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშია. დღევანდელი მოვლენა სისხლის სამართლის საქმეში ერთ-ერთი მორიგი მტკიცებულება იმისა, რომ მაშინ სიცოცხლე ღირებულება არ იყო. რეალურად, საკუთარ მოსახლეობას მიშა სააკაშვილმა, ჩემმა წინამორბედმა ბატონმა ვაშაძემ დაუმალეს, რომ შეკრულ სახურავში, რომელშიც სივრცე 2 მეტრი სიმაღლისაა, სიცოცხლისთვის საშიში ნივთები დატოვეს. ვსვამ პროკურატურაში კითხვას, არის თუ არა ეს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, შენობიდან სამშენებლო ნარჩენების გატანის ხარჯმა 40 000 ლარს გადააჭარბა.

მედიანიუსი

# საჰაერო ძალებმა 26 მაისისთვის მზადება დაიწყეს

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დამოუკიდებლობის დღისთვის მზადება დაიწყო. ღონისძიებებთან დაკავშირებით გუშინ, 19 მაისს პირველი რეპეტიცია გაიმართა.

„იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენმა ალექსეევკას სამხედრო აეროდრომიდან თავისუფლების მოედნისა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის გავლით თბილისის ზღვის მიმართულებით სავარჯიშო ფრენა განახორციელა.

ფიცის დადებისთვის ემზადება ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების საწყისი-საბრძოლო მომზადების ცენტრის ახალწვეულთა პირადი შემადგენლობა.

ნიუსპრესი

# მამაკაცმა პოლიეთილენის პარკით თავი მოიკლა

გუშინ, 19 მაისს, თბილისში, გლდანის მე-8 მიკრორაიონში, ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

იგი გლდანის ტბასთან ახლოს ნანგრევებში ერთ-ერთმა მცხოვრებმა ქალმა გუშინ დილით იპოვა.

ადგილობრივების ინფორმაციით, გარდაცვლილს თავზე პოლიეთილენის პარკი ჰქონდა შემოხვეული და, სავარაუდოდ, მისი საშუალებით მოიკლა თავი.

გარდაცვლილი გლდანის მე-8 მიკრორაიონში ცხოვრობდა. არსებული ინფორმაციით, მან თავის მოკვლა ადრეც სცადა.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, გარდაცვლილს თან წერილი აღმოაჩნდა. წერილის მიხედვით, მამაკაცი ძმას პატიებს სთხოვს და ამბობს, რომ თამაშს თავი ვერ დაანება, რის გამოც ბევრი ვალი ჰქონდა.

შსს-ში თვლიან, რომ, წინასწარი ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცმა თავი მოიკლა.

მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პარლამენტმა გიორგი ქადაგიძის მოსმენა გადადო

## რა წერია ეროვნული ბანკის ანგარიშში

**ასეთ დროს ცენტრალური ბანკის მხრიდან განხორციელებული სავალუტო ინტერვენცია არის კონტრპროდუქტიული, რადგან ეს, ერთი მხრივ, ხელს უშლის ეკონომიკაში წარმოქმნილი საგარეო დისბალანსის გასწორებას, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს სპეკულაციური მოლოდინების გაჩენას**

პარლამენტმა ეროვნული ბანკის ანგარიშის მოსმენა გადადო. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე „კომერსანტთან" აცხადებს, რომ ამის მიზეზი დეპუტატების სხვა ქვეყნების დელეგაციებში ყოფნაა.

– მაგალითად, ნოდარ ებანოიძე და სხვები საქართველოში არ იმყოფებიან. მათ სურვილი აქვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ, ამიტომ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ. გარდა ამისა, მათი ვერდასწრების შემთხვევაში შესაძლოა კვორუმის პრობლემა დამდგარიყო, – აცხადებს მეჭიაური.

მისივე თქმით, კიდევ იყო სხვადასხვა ფაქტორები, რომელთა გამოც მოსმენა გადაიდო. ესენია: აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის, ეროვნული ბიბლიოთეკის და ჰერალდიკის სამსახურის ბიუჯეტების განხილვა, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშის განხილვა.

მეჭიაური პარლამენტის რამდენიმე წამყვან კომიტეტის თავმჯდომარესთან ანგარიშის მოსმენის ზუსტ თარიღს 2 დღეში შეათანხმებს. თარიღთან დაკავშირებით კონსულტაციები მიდის ეროვნულ ბანკთანაც. შესაძლოა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს პარლამენტში მისვლა ორშაბათისთვის მოუწიოს.

* * *

პარლამენტში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის მოხსენება მიმდინარე კვირაში იყო დაგეგმილი.

240 გვერდიან დოკუმენტში, რომელიც ეროვნულმა ბანკმა მოამზადა, ხაზგასმულია, რომ ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა ფასების და ასევე ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაა, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას საფრთხე არ შეექმნას. ანგარიშში ნათქვამია, რომ 2014 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ხორციელდებოდა მაკროეკონომიკური გარემოს, მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებისა და ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.

გასულ წელს მიზნობრივი ინფლაცია 6% იყო, მაგრამ 2014 წლის ბოლოსთვის სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 2% შეადგინა. სებ-ის ანგარიშის თანახმად, ინფლაციის დინამიკაზე განსაკუთრებული გავლენა საგარეო ფაქტორებმა მოახდინა.

– 2014 წლის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა ინფლაციის მაჩვენებელზე შემცირების მიმართულებით მოქმედი მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორები. სურსათზე ფასების დაბალი დონის პარალელურად, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასების მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა, რაც ეტაპობრივად აისახა საწვავის ფასებზე საქართველოშიც. სამომხმარებლო კალათაში სურსათისა და ნავთობის მაღალი წონის შესაბამისად, წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, – ნათქვამია ანგარიშში.



ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს.

ყურადღებას გავამახვილებთ რეფინანსირების სესხებზე, რადგან ბოლო თვეების განმავლობაში ეროვნულ ბანკს ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ნაწილი მუდმივად მოუწოდებს რეფინანსირების სესხების შემცირებისკენ. დოკუმენტში კი ნათქვამია, რომ „რეფინანსირების სესხების ან ლიკვიდობის მართვის სხვა ინსტრუმენტის შეზღუდვა საბანკო სექტორს იმ პერიოდში დააბრუნებს, როცა ბაზარზე მხოლოდ უცხოური ვალუტის სესხები იყო ხელმისაწვდომი და კიდევ უფრო გაზრდის გაცვლით კურსზე გაუფასურების ზეწოლას".

ანგარიშში, ასევე, ნათქვამია:

– რეფინანსირების სესხების მოცულობის ადეკვატური ცვლილებით ეროვნული ბანკი ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სტაბილურობას უზრუნველყოფს. წინააღმდეგ შემთხვევაში შემცირდებოდა ლარზე მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, ან ეკონომიკის შემცირებას ან კურსის გაუფასურებას გამოიწვევდა. ანუ რეფინანსირების სესხების ეფექტიანი ინსტრუმენტი ეკონომიკის ზრდასთან ერთად, კურსის გრძელვადიან სტაბილურობასაც უწყობს ხელს.

* * *

ანგარიში ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკასაც შეეხება.

მასში კიდევ ერთხელ აღნიშნულია ის, რასაც გიორგი ქადაგიძე ხშირად იმეორებს, რომ როდესაც ეროვნული ვალუტა ძირითადად საგარეო შოკების შედეგად უფასურდება და ეკონომიკას ფუნდამენტური პრობლემები აქვს, ასეთ დროს ინტერვენცია კონტრპროდუქტიულია.

დოკუმენტში შედარებისთვის მოყვანილია 2013 წელი, როცა ბოლო კვარტალში მთავრობის მიერ საბიუჯეტო თანხების არათანაბარმა და დიდმა ხარჯვამ ლარის ნახტომისებური გაუფასურება გამოიწვია. ანუ ადგილი ჰქონდა შიდა პრობლემას და მაშინ, 2014 წლის იანვარში, სებმა 220 მლნ დოლარი გაყიდა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 2014 წლის ბოლოსთვის ლარის კურსზე ზეწოლა ძირითადად საგარეო ფაქტორებით იყო განპირობებული, რასაც დაემატა ფულადი გზავნილების შემცირება და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის შენელებაც.

– ასეთ დროს ცენტრალური ბანკის მხრიდან განხორციელებული სავალუტო ინტერვენცია არის კონტრპროდუქტიული, რადგან ეს, ერთი მხრივ, ხელს უშლის ეკონომიკაში წარმოქმნილი საგარეო დისბალანსის გასწორებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სპეკულაციური მოლოდინების გაჩენას. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა მიმართული იყო ბაზარზე მინიმალური ჩარევისკენ, რათა შეძლებისდაგვარად სწრაფად მომხდარიყო საგარეო დისბალანსის გასწორება. აღნიშნულ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ ორი ინტერვენცია განახორციელა სავალუტო ბაზარზე, რაც ძირითადად ბაზრისთვის სიგნალის მიწოდებას ემსახურებოდა, რომ კურსის აღნიშნული რყევა არ იყო კონტროლიდან გამოსული პროცესის შედეგი, – ნათქვამია ანგარიშში.

* * *

საბანკო სექტორზე საუბრისას ანგარიშის შესავალშივე აღნიშნულია, რომ 2014 წლის მანძილზე სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების კუთხით წინა წლების ტენდენცია გრძელდებოდა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა საბანკო სისტემაში კონკურენციის ზრდამ.



დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია მოსალოდნელი ნეგატიური ეფექტები.

– საქართველოს საბანკო სისტემა 2014 წლის ბოლოსათვის ინარჩუნებს კაპიტალიზაციის მაღალ დონეს. არსებული შეფასებებით, საბანკო სექტორი მდგრადია მშპ-ის ზრდის ტემპის შემცირების, გაცვლითი კურსის გაუფასურებისა და საექსპორტო ბაზრებზე მოთხოვნის ვარდნის მიმართ. თუმცა, 2015 წელს საკმაოდ მატერიალური ნეგატიური ეფექტი არის მოსალოდნელი, – ნათქვამია ანგარიშში.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოსალოდნელ ნეგატიურ ეფექტში, სავარაუდოდ, იმ ზარალს გულისხმობს, რაც ბანკებმა ლარის გაუფასურების გამო შეიძლება მიიღონ, რადგან ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა მზარდია.

* * *

ზედამხედველობის მაღალი სტანდარტი, ფინანსური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და ეკონომიკური შოკის გავლენის შერბილებაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკა ის სამი მთავარი მიმართულებაა, რაც ეროვნული ბანკის ვრცელ ანგარიშს მთავარ ზოლად გასდევს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზებზე საუბრისას, დოკუმენტში ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი შიდა ფაქტორებზე.

*სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე*

# ავტოგაზი გაძვირდა

ექსპერტთა ვარაუდი გამართლდა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების პარალელურად, საწვავზე, მათ შორის ავტოგაზზეც, საფასური გაიზარდა.

მსხვილმა კომპანიებმა ავტოგაზი რამდენიმე თეთრით გააძვირეს, მათ შორის „გალფმა" – 10 თეთრით, ხოლო „ვისოლმა" – 5 თეთრით.

ბიპიენს ავტოგაზზე ფასების ზრდა ორივე კომპანიაში დაუდასტურეს. რაც შეეხება წვრილ გაზგასამართ სადგურებს, გაზი აქაც 10 თეთრით გაძვირდა.

როგორც „ვისოლში" განაცხადეს, კომპანიამ გაზის საფასური 10 მაისიდან გააძვირა.

– 10 მაისამდე გაზის საფასური 1,20 ლარი იყო. ამჟამად 1,25 ლარია. გაიზრდება თუ არა გაზის საფასური მომავალში, ამის შესახებ ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით, – განმარტავენ კომპანიაში.

რაც შეეხება „გალფს", 6 მაისის მდგომარეობით, გაზის საფასური 1,15 ლარს შეადგენდა, ხოლო 17 მაისიდან კომპანიამ გაზი 10 თეთრით, ანუ 1,25 ლარამდე გააძვირა.

10 თეთრით გაძვირდა ავტოგაზი წვრილ გაზგასამართ სადგურებზე, რომლებიც, მონოპოლისტებისგან განსხვავებით, მომხმარებელს საწვავს მეტ-ნაკლებად დაბალ ფასში სთავაზობენ.

საფასურის გაზრდას გაზგასამართი სადგურები დოლარის კურსის აწევას უკავშირებენ.

– ზოგიერთი კომპანია გაზის იმპორტიორი თავადაა, ზოგი კი დისტრიბუტორისგან ყიდულობს. დოლარის კურსის გაზრდის შემდეგ, შესაბამისად, გადასახადი ჩვენც გაგვიძვირდა. იძულებული გავხდით, რომ გაზზე ფასი გაგვეზარდა. წინასწარ იმის თქმა, კიდევ გავაძვირებთ თუ არა, ძნელია. თუ ასე გაგრძელდა და სიტუაცია არ დასტაბილურდა, მომავალშიც მოგვიწევს გაძვირება, – გვითხრეს ერთ-ერთ კომპანიაში.

# საქართველო ჩინეთის ბაზარზე ღვინის იმპორტისთვის 4%-იან გადასახადს ითხოვს



საქართველო ჩინეთისაგან ქართული ღვინისთვის იმპორტის გადასახადის განსაკუთრებულ რეჟიმს ითხოვს. ამის შესახებ ჩინეთში გამგზავრებამდე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ ისაუბრა.

მისი თქმით, ჩინეთის ხელისუფლებასთან იმპორტის გადასახადთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს, რადგან ჩინეთში ღვინისთვის გადასახადი 52%-ია, რაც საკმაოდ მაღალია.

– ჩინეთში არის გამონაკლისი 2 ქვეყანა. ეს გახლავთ ჩილე და ავსტრალია, რომლებისთვისაც 4%-იანი გადასახადია, მათზე ჩინეთმა თავის დროზე ასეთი განსაკუთრებული რეჟიმი დააწესა. როდესაც მქონდა ჩინეთში წინა ვიზიტები და უმაღლეს ეშელონებთან შეხვედრა, ეს საკითხი დავსვი. ეს საკითხი იხილება და იმედი მაქვს, რომ საკითხი იქით მიდის, რომ როცა პრემიერ-მინისტრის ვიზიტი იქნება პეკინში, რომელიც სექტემბრისთვის იგეგმება, ეს იქნება ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც განიხილავენ, – აცხადებს დავით საგანელიძე.

მისი თქმით, დაახლოებით 2-3 წლის წინ ჩინეთში ქართული ღვინო საერთოდ არ იყო წარმოდგენილი. ბოლო 2 წლის განმავლობაში კი ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

– რამდენიმე კომპანია უკვე ახერხებს ჩინურ ბაზარზე თავისი პროდუქციის შეტანას. მართალია, ჩინელები არ არიან ღვინის დიდი მომხმარებლები, მაგრამ ამხელა ქვეყანაში პატარა ნიშის დაკავებაც კი ბევრს ნიშნავს, – აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

მისივე თქმით, თუ საქართველო, ჩილესა და ავსტრალიასთან ერთად, აღმოჩნდა 4%-იან ნიშაში, ქართულ ღვინის კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ, ძალიან კონკურენტუნარიანი პირობებით შევიდნენ ჩინეთის ბაზარზე.

– საქართველომ უნდა გამოძებნოს თავისი ადგილი მსოფლიოს რუკაზე. ძებნის პროცესში ვართ, სხვადასხვა ეტაპი გავიარეთ. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპია ის, რომ ისეთი მზარდი და გიგანტური ეკონომიკის ქვეყნისთვის, როგორიცაა ჩინეთი, ჩვენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პარტნიორი გავხდეთ, – აცხადებს დავით საგანელძე.

*მარიამ მინაძე, კომერსანტ.გე*



# ლარი ისევ გამყარდა

ლარი დოლართან მიმართებაში 0.0189 პუნქტით გამყარდა.

20 მაისის ოფიციალური კურსით, 1 დოლარის ღირებულება 2.3378 ლარი იქნება.

ეროვნული ვალუტა გამყარდა ევროსთან მიმართებაშიც და 20 მაისის კურსი 2.6204 პუნქტზე დაფიქსირდა, შესაბამისად, კურსი 0.0691 პუნქტით გამყარდა.

ლარი პოზიციებს 18 მაისის შემდეგ იმყარებს.

# არაბი ინვესტორები მეცხოველეობის დარგით დაინტერესდნენ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას განცხადებით, ინვესტორები არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან დამატებითი ინვესტიციის ჩადებას გეგმავენ.

ამის შესახებ მინისტრმა არაბეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმის დაწყებამდე განაცხადა, რომელსაც სხვადასხვა ბიზნეს კომპანიის წარმომადგენლები ესწრებიან.

მისივე თქმით, არაბი ინვესტორები სოფლის მეურნეობითაც არიან დაინტერესებული, სფერო კი, რომლის მიმართაც არაბ ინვესტორებს განსაკუთრებული დაინტერესება აქვთ, მეცხოველეობაა.

– ჩვენ გვაქვს ვაჭრობის გაუმჯობესების პოტენციალი, რადგან სავაჭრო ბალანსი მაინცდამაინც დიდი არ არის. დაინტერესება არის პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. პირველ რიგში კი, მეცხოველეობის კუთხით, – აცხადებს დანელია.

საქართველოში დამატებითი ინვესტიციები იგეგმება. არაბ ბიზნესმენებს უკვე ჰქონდათ მინისტრის მოადგილესთან შეხვედრა, რომელთანაც კონკრეტული მიმართულებები განიხილეს.

დანელიას აზრით, სურათი მიმდინარე წელსვე იქნება თვალსაჩინო გარკვეული მიმართულებების კუთხით.

საქსტატის მონაცემებით, არაბულმა ინვესტიციებმა 2014 წელს $14 მილიონი შეადგინა, ეს მაჩვენებელი, 2013 წელთან შედარებით, 4.4-ჯერ არის შემცირებული.

# ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოსა" და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

## სტუმრებმა პროექტის „იზრუნე მომავალზე" ფარგლებში „ნატახტარის" ქარხანაში დასაქმებული 3 ბენეფიციარი მოინახულეს

„ფონდი ნატახტარის" ინიციატივით, კომპანია „ნატახტარის" ხელშეწყობითა და ასოციაცია „ჩვენი სახლის" მუშაობის შედეგად, ოთხი წლის განმავლობაში რამდენიმე ასეული მზრუნველობამოკლებული მოზარდის ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. სრულწლოვანების გამო ყოველწლიურად საშუალოდ 10-15 ბავშვი გადის სახელმწიფო ზრუნვიდან, „ფონდი ნატახტარი" კი სწორედ ამ მოზარდებს ამზადებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. პროექტის წარმატება იმ მოზარდების რაოდენობით განისაზღვრება, რომლებიც აბსოლუტურად ნელგამართული, ახალი პროფესიითა და უნარ-ჩვევებით იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

უფრო მეტი ეფექტური მუშაობისათვის პროექტის გვერდით დგომის სურვილი სახელმწიფო ინსტიტუტებმაც გამოთქვეს. ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოსა" და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს" ალმასრულებელმა დირექტორმა **რევაზ ბარბაქაძემ** და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, სსიპ — სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა **ზაზა სოფრომაძემ**. მემორანდუმი „ფონდი ნატახტარის" პროექტის „იზრუნე მომავალზე" ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობასა და გამართული აქტივობების მხარდაჭერას ითვალისწინებს.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ სტუმრებმა პროექტის „იზრუნე მომავალზე" ფარგლებში „ნატახტარის" ქარხანაში დასაქმებული 3 ბენეფიციარი, სახელმწიფოს ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდები მოინახულეს. ღონისძიების დასასრულს სპეციალურად „საქართველოს კარიტასის" მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებისთვის ქარხანაში ლიმონათის ტური გაიმართა, რომლის დროსაც სტუმრები ლიმონათის ჩამოსხმის სრულ საწარმოო ციკლს გაეცნენ და სამახსოვროდ სერტიფიკატები გადაეცათ.



**ზაზა სოფრომაძე, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი:**

— ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლობა და კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. კომპანია „ნატახტარის" მიერ დაფუძნებული „ფონდი ნატახტარი" არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემს სახლთან" ერთად წლებია ძალიან კარგ და მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებს. სახელმწიფოს პრიორიტეტია მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება, მაგრამ კერძო სექტორის ჩართულობა უფრო მეტ ეფექტურობას იძლევა. „ფონდი ნატახტარის" მეშვეობით მოხერხდა ათეულობით მოზარდის გადამზადება, პროფესიის ათვისება და დასაქმება. ამ ფონდმა ძალიან ეფექტურად იმუშავა და გვინდა, ჩვენი თანამშრომლობით კიდევ ბევრი კარგი საქმე გავაკეთოთ.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი:**

— უკვე ოთხი წელია „ფონდი ნატახტარი" მუშაობს მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე და მათ დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად კონკრეტულ დახმარებას უწევს. სიხარულით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ეტაპზე გვყავს 61 დასაქმებული მოზარდი, აქედან სამი მათგანი კომპანია „ნატახტარის" ტექნიკურ განყოფილებაში მუშაობს.

**გელა გოძიაშვილი, 19 წლის:**

— სამი წელია „ფონდი ნატახტარის" ბენეფიციარი ვარ. შევისწავლე კონკრეტული საქმე და დასაქმებული ვარ „ნატახტარის" ქარხანაში. ვმუშაობ ლუდისა და ლიმონათის ჩამოსხმის ხაზზე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს სამსახური, მაქვს საშუალება განვვითარდე და წინა პოზიციებზეც წავიწიო. ამ პროექტის გარეშე გამიჭირდებოდა ამ სპეციალობის დაუფლება და სამუშაოს პოვნა.

***სამართალი***

## შსს-მ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი დააკავა

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ალგეთის თემში – ბალაბეკ გიზბასოვი ქრთამის აღებაში ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბალაბეკ გიზბასოვმა მოქალაქეს დაუმზადა ყალბი ცნობა, თითქოს-და აღნიშნულმა მოქალაქემ ამავე თემის სოფლებში მაცხოვრებელი პირებისგან 400 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი – ცხვარი შეიძინა, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 2000 ლარი. დადგინდა, რომ მოქალაქეს აღნიშნული ცნობა შეძენილი წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმომავლობის დასადასტურებლად სჭირდებოდა. სამართალდამცველებმა ბალაბეკ გიზბასოვი ქრთამის აღების ფაქტზე მარნეულის რაიონში დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

## შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ პანამის დროშით მცურავი ტვირთმზიდი გემი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის და საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე (ნაოსნობის განსაკუთრებული საფრთხილის რაიონის გადაკვეთა) პანამის დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი გემი „ოლიმპ ილ"-ი დააკავეს.

აღნიშნული გემის კაპიტნის მიმართ ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დაიწყო საქმისწარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე პრიმა-1 მუხლის 1-ლი ნაწილით. გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა – 50 000 ლარის ოდენობით. ჯარიმის გადახდის შემდეგ გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.

## მინსკში ქართველი ექიმი-ანესთეზიოლოგი დააკავეს

ბელარუსიის დედაქალაქ მინსკში, სამართალდამცველებმა, საქართველოს მოქალაქე, 27 წლის ექიმი-ანესთეზიოლოგი დააკავეს, რომელსაც თან ფსიქოტროპული და არალეგალურ მოსაწევ ნივთიერებათა ნაზავი აღმოაჩნდა.

ამის შესახებ ინფორმაციას „ინტერფაქსი," ბელარუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელზე დაყრდნობით ავრცელებს.

– ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის ოპერატიული ფილიალის თანამშრომლებმა და პოლიციამ ერთობლივი ოპერატიული ღონისძიების შედეგად, საქართველოს მოქალაქე დააკავეს. 27 წლის საქართველოს მოქალაქეს თან დაახლოებით 5 გრამი მოსაწევი ნივთიერებების ნარევი ჰქონდა, ასევე მას ერთ გრამამდე ფსიქოტროპული ნივთიერება „ალფა პვპ" აღმოაჩნდა. აღსანიშნავია, რომ დაკავებული ერთ-ერთი ქალაქის საავადმყოფოში ანესთეზიოლოგად მუშაობდა, – აცხადებენ ბელორუსის შსს-ში.

**ნიუსპრესი**

## „ჩვენმა მწერლობამ" ალუდა ქეთელაური გაასამართლა

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" თაოსნობით ალუდა ქეთელაურის ლიტერატურული გასამართლება გაიმართა.

როგორც „ჩვენი მწერლობის" მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ ამ ახალ რკალს კარი თეიმურაზ ხევისთავის გასამართლებით გაუღო.

„ლიტერატურული გასამართლება რომ უმნიშვნელო მოვლენა იყოს, თავის დროზე აკაკი წერეთელი მასში მონაწილეობას არ მიიღებდა. პერსონაჟის გასამართლებისას განაჩენი სასამართლო კოლეგიას გამოაქვს და ამას თავისი მნიშვნელობა აქვს – თუ როგორ უნდა შეფასდეს ეს პიროვნული ხასიათი და მისი მოქმედება საზოგადოების ცნობიერებაში. რამდენიმე ადამიანმა მითხრა, ალუდა ქეთელაურს რა გასამართლება უნდაო, მაგრამ ასე მარტივადაც ნუ შევხედავთ, ბოლოსდაბოლოს რეაბილიტაცია ხომ სჭირდება?!" – აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

ლიტერატურული სასამართლოს პროცესში მონაწილეობდნენ: მბრალდებელი ლია კუხიანიძე, ადვოკატი მაია ჯალიაშვილი, ბერდიას სახელით ელგუჯა თავბერიძე, ალუდას ცოლის, ლელას, სახელით ეთერ თათარაიძე, ალუდას ნდობით აღჭურვილი პირი თემურ ქორიძე, მსაჯულები: ამირან არაბული (თავმჯდომარე), სალომე კაპანაძე,ნანა კუცია, ასევე მანანა გაბაშვილი, ვალერი გრიგალაშვილი, ბადრი დანელია, მიხეილ ანთაძე, ნიკა სანებლიძე, გიორგი ცოცანიძე, თამარელა წოწორია, თემურ ნადარეიშვილი და ლევან ქურციკაშვილი.

ალუდა ქეთელაურს სასამართლო კოლეგიამ გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა, რაც კასაციას აღარ ექვემდებარება.

**მედიანიუსი**

## საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თურქეთის მოქალაქეები დააკავეს

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1983 წელს დაბადებული, თურქეთის მოქალაქე ტოფაკ ო. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანის ბრალდებით, ხოლო ასევე თურქეთის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ქენან დ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის ნეიტრალურ ზონაში, თურქეთის მოქალაქე ტოფაკ ო-ს კუთვნილი ავტომანქანა „ფორდის" დათვალიერებისას შენიშნეს, რომ ავტომანქანის სალონში ჩალაგებულ ტანსაცმელს შორის მგზავრი იყო დამალული. სამართალდამცველებმა მძღოლიც და მისი მგზავრიც შეაჩერეს და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ჩატარების შედეგად დააკავეს.

გამოძიება ტოფაკ ო-ს მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო მისი მგზავრის მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

## განცხადება

ქ.თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქ.№15-ში ი.მ. „ბაირამ გულიევს" დაგეგმილი აქვს ნარჩენების აღდგენის (ნარჩენი ზეთების რეციკლირება) საწარმოს მოწყობა. საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია ქ. გორში, ბარნოვის ქ.№9ა (ტელეფონი: 599-70-80-55. ელ.ფოსტა:makich62@mail.ru).

მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში.

2015 წლის 10 ივლისს, 12 საათზე, თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქ. №15-ში შედგება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ბორის სოკოლოვი: „ის, რაც ახლა რუსეთში ხდება, იმას ჰგავს, რაც სსრკ-ში 1937 წლამდე იყო“

## „დასავლეთი რუსეთს უფრო გაბედულად უნდა უპირისპირდებოდეს“

სოჭში ჯონ ქერის სერგეი ლავროვთან და ვლადიმერ პუტინთან, ასევე გასულ კვირას დასავლეთის სხვა ლიდერებსა და პუტინს შორის დიპლომატიური აქტიურობის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ცნობილ რუს პოლიტოლოგს, ბორის სოკოლოვს ესაუბრა.

ბორის სოკოლოვმა 2008 წლის სექტემბერში კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მიუძღვნა სტატია „წაგლეჯვა სუდეტურად“, რის გამოც იგი პრეზიდენტ მედვედევის ადმინისტრაციიდან განხორციელებული ზარის შემდეგ უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს.

*— ბატონო ბორის, როგორ შეაფასებდით დასავლეთსა და მოსკოვს შორის დიპლომატიურ აქტიურობას? სოჭში ქერი-ლავროვის, ქერი-პუტინის, მერკელ-პუტინის შემდეგ, მერკელ-პოროშენკოს, ნურლანდ-პოროშენკოს შეხვედრებს. უკრაინა-რუსეთს, დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში რაიმე სიახლეზე შეიძლება საუბარი?*

— გაურკვეველია, ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, მათ ამ შეხვედრებზე რეალურად რაზე ისაუბრეს. თუ სოჭში გამართული შეხვედრების შემდგომ გაკეთებული განცხადებებით ვიმსჯელებთ, მხარეებს კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიუღიათ.

*— იმის გამო, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ ქერის სოჭში ყირიმთან დაკავშირებით პრაქტიკულად არაფერი უთქვამს, დამკვირებელთა ნაწილს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონმა მიიღო ყირიმთან დაკავშირებით პუტინის პირობები.*



— პირადად მე ასეთი შთაბეჭდილება არ დამრჩენია. პირიქით, ქერიმ საკმაოდ ერთმნიშვნელოვნად თქვა შემდეგი – არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მშვიდობის სანაცვლოდ თავისი პირობები დააყენოს. მეტიც, მან ასევე თქვა, რომ რუსეთს არ შეუძლია დააყენოს პირობები, თუ როგორ შეიძლება დაბრუნდეს მსოფლიო თანამეგობრობაში. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ დიპლომატიურ აქტივობას რეალური შედეგი არ ჰქონია. ვიდრე რაიმე კონკრეტული ნაბიჯები არ გადაიდგმება პროცესში ჩართული მხრეების მხრიდან, მანამდე ძნელია საუბარი, ეს შეხვედრები შედეგიანი იყო თუ არა.

*— რუსი პოლიტოლოგი ანდრეი პიონკოვსკი მიიჩნევს, რომ სოჭის შეხვედრით ვაშინგტონი გამოეხმაურა კრემლთან და პირადად პუტინთან დაახლოებული პოლიტოლოგ ფიოდორ ლუკიანოვის მიერ 16 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიას „ახალი მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის“. ლუკიანოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „რუსეთს დასავლეთთან კონფრონტაცია, მით უმეტეს კონფრონტაციის ტემპერატურის გაზრდა არ სურს, ვინაიდან ეს, გარდა იმისა, რომ მოსკოვისთვის საფრთხის შემცველია, რუსეთს საკმაოდ ძვირი უჯდება.“ თუ კრემლში ამგვარი ხედვა არსებობს, რატომ არ შეაქვს კრემლს კორექტივები უკრაინასთან მიმართებაში თავის ქმედებებში?*

— რამდენადაც ვიცი, ლუკიანოვი არ გახლავთ პუტინთან დახლოებული პირი. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ერთმანეთს ოდესმე შეხვედრიან. რაზეც ლუკიანოვი ამახვილებს ყურადღებას, რა თქმა უნდა, კრემლში კარგად ესმით, მაგრამ მაინც იმას აკეთებენ, რასაც აკეთებენ. მე ვერ ვხედავ, რომ კრემლს უნდა, თავისი პოლიტიკა შეცვალოს ან ცდილობს ამის გაკეთებას. როგორც ეტყობა, კრემლს ჯერ აქვს მარაგი, რომ გაუმკლავდეს დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს. მხედველობაში მაქვს როგორც ოქროსა და ვალუტის რეზერვები, ისე ხალხის მხარდაჭერა, რომელიც ნამდვილად აქვს. რამდენად შედეგიანი იყო ეს შეხვედრები, მოისურვებს თუ არა კრემლი თავის ქმედებებში კორექტივების შეტანას და რას მოუტანს იგი კიევს, მოსკოვს და დასავლეთს, 2-3 კვირაში ანაც რამდენიმე დღეში გამოჩნდება.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# განცხადება

**შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლებისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №5 19.05. 2015) საფუძველზე 2015 წლის 20 მაისიდან აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებზე:**

I.

**1. სამართალი 06**

**1.1 საჯარო სამართლი – 0605**

ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

**1.2. კერძო სამართალი – 0603**

ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

**1.3. სისხლის სამართალი – 0604**

ასისტენტ – პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

**2. ჰუმანიტარული მეცნიერებანი 10**

**2.1. ფილოლოგია 1005**

(ინგლისური ფილოლოგია – 100502)

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

(გერმანული ფილოლოგია– 100503)

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

**3. ბიზნესის ადმინისტრირება – 02**

(ინგლისურენოვან პროგრამაზე)

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

ასოცირებული პროფესორი – 4 საშტატო ერთეული;

ასისტენტ– პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

ასისტენტი – 2 საშტატო ერთეული;

**4. ბიზნესის ადმინისტრირება – 02**

(ქართულენოვან პროგრამაზე)

**4.1. მენეჯმენტი – 0203**

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

**4.2. ფინანსები – 0204**

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

ასისტენტ-პროფესორი – 1საშტატო ერთეული;

**II. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

**2.1.**

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 1 ფოტო სურათი {3X4);

ე) უმაღლესი განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები ან ცნობა;

ვ) სალექციო კურსების ჩამონათვალი – სილაბუსებით;

ზ) სამოტივაციო წერილი;

თ) სადისერტაციო ნაშრომის დასახელება და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

ი) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი ან ცნობა;

კ) რეფერირებად ან დარგობრივ ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაცია;

ლ) ინგლისურენოვანი პროგრამისათვის კონკურსანტმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა, კერძოდ:

ინგლისური ენის სერტიფიკატით;

ინგლისურ ენაზე მიღებული განათლებით, ინგლისურენოვან პროგრამაზე პედაგოგიური გამოცდილებით ან თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ტესტირების შედეგის საფუძველზე.

– კონკურსანტს შეუძლია აგრეთვე დამატებით წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობის ან პროექტში მონაწილეობის შესახებ;

ბ) ინფორმაცია მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული აკადემიური პროგრამების შესახებ;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში;

**2.2 კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:**

ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. მოეთხოვება: საგანმანათლებლო მიმართულების ძირითად საგნებში თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ასახვა და შესაბამისი სილაბუსებისა და კურიკულუმების შექმნა – დამუშავება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში, მოეთხოვება: შესაბამისი სილაბუსებისა და კურიკულუმების შექმნა-დამუშავება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;

გ) ასისიტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება შეუძლია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც თავისი კომპეტენციის შესაბამისად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში, ასევე, მას უნდა შეეძლოს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობა და სტუდენტებთან პროფესიული ორიენტაციის გაღრმავების მიზნით მუშაობის წარმართვა;

ასისტენტ-პროფესორად ასევე შეიძლება არჩეული იქნას პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი მიმართულების 4 წლის პროფესიული გამოცდილებით ან გავლილი აქვს სპეციალური მომზადება და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 4 პუბლიკაცია;

დ) ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი. ასისტენტად ასევე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება: შესაბამისი მიმართულებით 3 წლის პროფესიული გამოცდილებით ან გავლილი აქვს სპეციალური მომზადება და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 პუბლიკაცია. ასევე, მას უნდა შეეძლოს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ პროფესორის ხელმძღვანელობით სასემინარო და კვლევითი სამუშაოების განხორციელება ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

**III. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდეს შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში“ „აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების დებულების“ მიხედვით;**

**IV. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2015 წლის 9 ივლისს;**

**V. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 2 960190; 2 969033; 2519120;**

**VI. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს 2015 წლის 22 ივნისიდან 27 ივნისამდე დილის 10.00-დან 16.00-საათამდე.**

მისამართი:

ქ.თბილისი, ნინოშვილის ქ. 55, IVსართული.

ვებგვერდი: **www.tbuniver.edu.ge;**

ელ.ფოსტა: **tbuniver.edu@gmail.com**


მარივანი

განცხადებები

● ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას, სათესლე ჯირკვლის ანთებას, საშარდე მილის, სასქესო ასოსა და პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაცია უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათკვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც)მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# მარიო გომესი: „წითელ ფორმაში გოლის გატანა სასიამოვნოა“



გერმანული ფეხბურთის გულშემატკივართათვის კარგად ცნობილმა თავდამსხმელმა, მარიო გომესმა, რომელიც ამჟამად „ფიორენტინას“ შემადგენლობაში ირჯება, მის მიერ „ბაიერნის“ ფორმით გატანილ გოლებზე ისაუბრა, რომელიც 113-ს უტოლდება.

აღსანიშნავია, რომ „სუპერ მარიო“ რეკორდსმენია „ალიანს არენაზე“ გატანილი გოლების მხრივ, სადაც 70 გოლი აქვს გატანილი. ავტორიტეტულმა გერმანულმა გამომცემლობა „ბილდმა“ 29 წლის თავდამსხმელს სწორედ ამ გოლების გახსენება სთხოვა.

*– გახსოვთ, თქვენ მიერ „ალიანს არენაზე“ გატანილი გოლები?*

– მგონი, ყველა! თავდამსხმელს მისი გოლები არასოდეს ავიწყდება.

*– როგორ ფიქრობთ, რამდენი გოლი გაიტანეთ „ალიანს არენაზე“?*

– დაახლოებით 70. შესაძლოა, 2-3 ბურთით ნაკლები ან მეტი.

*– მართალი ხართ, ზუსტად 70! მათგან ყველაზე ლამაზი რომელი იყო?*

– ჩემთვის ყველა გატანილი გოლი ლამაზია.

*– ყველაზე მნიშვნელოვანი?*

– ამის გახსენება უფრო ადვილია. 90-ე წუთზე, „რეალის“ წინააღმდეგ, 2012 წლის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გატანილი გოლი, რომელი მატჩიც 2:1 მოვიგეთ.

*– ყველაზე სასაცილო გოლი?*

– „ფრაიბურგის“ წინააღმდეგ, როდესაც მცველის მიერ მოგერიებული ბურთი მე მომხვდა და კარის ბადეში ლამაზი ტრაექტორიით ჩაეშვა.

*– „ალიანს არენაზე“ იმაზე მეტი გოლი გაქვთ გატანილი, ვიდრე არიენ რობენს, ფრანკ რიბერის, თომას მიულერს, მარიო მანჯუკიჩსა და მიროსლავ კლოზეს. როგორ შეძელით ეს?*

– ამდენის გატანა იმიტომ შევძელი, რომ გუნდელები ბრწყინვალე პასებით მამარაგებდნენ. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა მათ ამისათვის.

*– ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი მის „სახლად“ ყოველთვის უიმბლდონს თვლიდა. თქვენთვის ასეთი „ალიანს არენაა“?*

– „სახლი“ ძალიან ზუსტად შეეფერება. „ალიანს არენაზე“ თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი და ამასთან დაკავშირებით ძალიან სასიამოვნო მოგონებებიც მაქვს. როგორც არ უნდა იყოს, ეს ულამაზესი სტადიონია!

*– რომელი უფრო უკეთესია? „ბაიერნის“ კარში გატანა თუ „ბაიერნის“ შემადგენლობაში გატანა?*

– როგორც უკვე ვთქვი, გატანილი გოლი ყოველთვის კარგია, მაგრამ უფრო სასიამოვნოა, როდესაც ამას „წითელი ფორმით“ აკეთებ.

# ბაიერნმა აზარსა და გრიზმანს დაუმიზნა



თუკი არაერთ ავტორიტეტულ ევროპულ გამომცემლობას დავუჯერებთ, „ბაიერნი“ ზაფხულისთვის შეტევის ხაზის გაძლიერებას ლამობს, რომელი საკითხიც დღის წესრიგში ფრანკ რიბერისა და არიენ რობენის გაუთავებელი ტრავმიანობის შემდეგ დადგა.

ახალი არ არის, რომ ბავარიელთა ორი საკვანძო ფიგურა ტრავმებისკენ მიდრეკილი მობურთალები არიან. არიენ რობენისთვის, ისევე, როგორც მისი ფრანგი მეგობრისთვის, სეზონი ვადაზე ადრე დასრულდა.

„ბაიერნის“ ბოსები კლუბის შეტევის სამომავლო პერსპექტივაზე დაფიქრდნენ და როგორც ჩანს, მივიდნენ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც, „რეკორდმაისტერს“ შეტევის ხაზში ახალი ფიგურები სჭირდება და თანაც, მსოფლიო დონის შემსრულებლები.

თუკი ერთ-ერთ ავტორიტეტულ ავსტრიულ პორტალს დავუჯერებთ, „ბაიერნის“ ბოსები „ჩელსის“ შემტევი ნახევარმცველისადმი, ედენ აზარის მიმართ სერიოზულ ინტერესს გამოხატავენ და კარლ-ჰაინც რუმენიგე, გერმანიის თასის ნახევარფინალური მატჩის დროს, ბელგიელი ფეხბურთელის ოჯახის წევრებსაც შეხვედრია. ავსტრიული მედიის ცნობით, გუნდებს შორის ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უახლოეს კვირებში უნდა დაიწყოს, თუ, რა თქმა უნდა, აღნიშნული ცნობა მხოლოდ ჭორი არ აღმოჩნდა.

ერთი რამ ცხადია: რეალური ინტერესის შემთხვევაში, „ბაიერნს“ აზარის საყიდლად სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს, რომელიც 100 მილიონ ევროს უტოლდება.

გავრცელებულ ინფორმაციას კარლ-ჰაინც რუმენიგეც გამოეხმაურა და უარყო ხმები, თითქოს „ბაიერნი“ ერთ ტრანსფერში 100 მილიონის გადახდას აპირებს.

**კარლ-ჰაინც რუმენიგე:**

– რა თქმა უნდა, სატრანსფერო პერიოდში ვიაქტიურებთ, თუმცა სიტუაციის ფორსირება არ არის საჭირო, რადგან გუნდში არაერთი მსოფლიო დონის შემსრულებელი გვყავს. ერთ ფეხბურთელში 100 მილიონს არ გადავიხდით, რამდენადაც, ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ „რეალს“ შეუძლია. გიჟურად მოქცევასა და დადგენილი სტანდარტის უგულებელყოფას არ ვაპირებთ.

შეგახსენებთ, რომ „ბაიერნმა“ კლუბისა და ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი 2012 წელს გაჩარხა, როდესაც „ბილბაოდან“ ხავი მარტინესი 40 მილიონი ევროს სანაცვლოდ აიყვანა. ამიტომ, ძნელად სავარაუდოა, რომ „ბაიერნმა“ ერთ ფეხბურთელში სამციფრა მილიონი გადაიხადოს.

გერმანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, მოახლოვებული ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს, „მიუნხენური გიგანტის“ ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო სამიზნე მადრიდის „ატლეტიკოს“ შემტევი ნახევარმცველი, ანტუან გრიზმანიც იქნება, რომელთანაც კლუბის მესვეურები აქტიურ მოლაპარაკებებსაც აწარმოებენ. 24 წლის ფრანგი შესანიშნავ სეზონს ატარებს, რასაც მისი სასეზონო სტატისტიკაც მოწმობს: 51 მატჩი, 24 გოლი, ექვსი საგოლე გადაცემა.

ფრანგ ფეხბურთელს „როხიბლანკოსთან“ გრძელვადიანი კონტრაქტი აკავშირებს, რომელსაც მოქმედების ვადა 2020 წელს ეწურება. ეს გარემოება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ რეალური ინტერესის შემთხვევაში, გერმანული ფეხბურთის ფლაგმან გუნდს გრიზმანის გამოსყიდვა მინიმუმ 30 მილიონი ევრო დაუჯდება.

თუ რამდენად სერიოზულად არიან „ბაიერნში“ დაინტერესებულნი გრიზმანის გადაბირებით, ეს უახლოეს პერიოდში გაირკვევა.

# მანუჩარ მარკოიშვილი ევროლიგის ბრინჯაოს მედლის მფლობელია



ქართველი უკანახაზელი კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ოთხთა ფინალში მეორედ გავიდა და 2003 წელს მოპოვებულ ვერცხლის მედალს ბრინჯაოც შემატა.

მესამე ადგილისთვის მატჩში მოსკოველები სტამბულის „ფენერბაჰჩეს“ დაუპირისპირდნენ და 86:80 დაამარცხეს. საინტერესოა, რომ რუსული გრანდი მატჩის განმავლობაში 27 ქულასაც კი იგებდა, თურქებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, თუმცა, სასწაული ვეღარ მოახდინეს.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 09:46 წუთი გაატარა და 1 ქულა მოაგროვა. მარკოიშვილმა 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, თითო ორქულიანი და სამქულიანი ააცილა, ერთხელ დაუფარეს, 2 პერსონალური მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთხელ დაჯარიმდნენ.

ცსკა-ს რიგებში საუკეთესონი ფრანგი ნანდო დე კოლო (17 ქულა) და ამერიკელი დემეტრის ნიკოლსი (14 ქულა) იყვნენ, „ფენერბაჰჩეს“ ლიდერმა ენდრიუ გუდელოკმა 24 ქულა ჩააგდო, მისმა თანაგუნდელმა ნემანია ბიელიცამ კი ორმაგი დუბლი შეასრულა – 18 ქულა, 10 მოხსნა.

ევროლიგის ჩემპიონი კი ოთხთა ფინალის მასპინძელი მადრიდის „რეალი“ გახდა, რომელმაც ფინალში ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ მოუგო – 78:59. აღსანიშნავია, რომ ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა ამ პრესტიჟული ტურნირის მოგება 22 წლის შემდეგ მოახერხა.

# კლაუს ალოფსი დე ბრუინს ბაიერნს არ უთმობს

„ვოლფსბურგის“ სპორტულმა დირექტორმა და გუნდის მიერ მიღწეული ბოლოდროინდელი აღმასვლის ერთ-ერთმა მთავარმა სულისჩამდგმელმა, კლაუს ალოფსმა, გერმანულ სპორტულ გამომცემლობებთან არაერთ საინტერესო თემაზე ისაუბრა.

პირველ რიგში, გერმანელმა ფუნქციონერმა მისი გუნდის ლიდერის, კევინ დე ბრუინის „მგლებიდან“ შესაძლო აბარგებაზე გააკეთა კომენტარი. ბელგიელი შემტევი ნახევარმცველისადმი ყველაზე დიდ ინტერესს „ბაიერნი“ იჩენს. გეტყვით, რომ დე ბრუინმა ბუნდესლიგის ყველა დროის რეკორდი მოხსნა და ჩემპიონატში 21 საგოლე პასი გააკეთა.

**კლაუს ალოფსი:**

– ვიტყვი, რომ დე ბრუინის გაყიდვა შეუძლებელია და ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული. რა თქმა უნდა, ფეხბურთში სიტუაცია სწრაფად იცვლება, მაგრამ მე ამჟამინდელ მდგომარეობაზე გესაუბრებით. ტრანსფერის დროს, ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მონაწილეობს თუ არა კლუბი ჩემპიონთა ლიგაზე. უმაღლესი დონის ფეხბურთელების ადგილი სწორედ ამ ტურნირზეა, ჩვენი ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა კი, შესაძლოა, ამ საკითხის საჩვენოდ გადაწყვეტაში ძალიან დაგვეხმაროს.

ჟურნალისტებმა, ალოფსს „ბაიერნის“ ბოლოდროინდელ ჩავარდნაზეც ჰკითხეს. შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ რაც „რეკორდმაისტერმა“ ბუნდესჩემპიონობა გაინაღდა სამი მატჩი ჩაატარა და სამივე მათგანში მარცხი განიცადა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნის“ მიერ „განიავებულ“ ქულებს სატურნირო ცხრილში „ვოლფსბურგზე“ არანაირი გავლენა არ მოუხდენია, ალოფსი მაინც იმედგაცრუებულია.

– ამ დრომდე, ბავარიელები პროფესიონალიზმის მაგალითებად ითვლებოდნენ, თუმცა, ბოლო კვირების განმავლობაში ამას ვეღარ ვხედავთ. ძალიან იმედგაცრუებული ვარ მათ მიერ ნაჩვენები თავდაზოგვითი თამაშითა და იმ ფაქტით, თუ როგორ გაანიავეს ბოლო მატჩებში ქულები. ვფიქრობ, ამის გამო არაერთი ბუნდესლიგური გუნდია იმედგაცრუებული.

„ბაიერნისადმი“ კლაუს ალოფსის მიერ გაჟღერებულ კრიტიკულ მოსაზრებას, მისი ბავარიელი კოლეგა, მათიას ზამერი გამოეხმაურა:

– „ბაიერნმა“ ბუნდესლიგა მოიგო და ამით კმაყოფილნი ვართ. არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ გერმანიის ჩემპიონატის მოგების გამო ვინმეს მოვუბოდიშოთ.

აქვე, გეტყვით, რომ „ბაიერნს“ რიგით 25-ე ბუნდესთასი 23 მაისს, „მაინცთან“ მატჩის შემდეგ გადაეცემა.

# დავიდ დე ხეა მანჩესტერსა და მადრიდს შორის გაიჩხირა

„მანჩესტერის“ მეკარე დავიდ დე ხეას ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დრო დადგა. მან არჩევანი უნდა გააკეთოს „მანჩესტერში“ დარჩენასა და მადრიდის „რეალში“ გადაბარგებას შორის.

დე ხეას გადაწყვეტილებაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. უპირველეს ყოვლისა, მას უკვე აქვს შემოთავაზება „მანჩესტერისგან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე და არ იცის, როგორ მოიქცეს, მოაწეროს თუ არა ხელი. ხელმოწერის შემთხვევაში მისი ესპანეთში დაბრუნება უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ფაქტიურად წარმოუდგენელი იქნება. თუ არ მოაწერს, „სამეფო კლუბს“ დიდ ბერკეტს აძლევს მოლაპარაკების პროცესში, რადგან კონტრაქტზე უარის თქმა ნიშნავს, რომ დავიდი მზადაა ნებისმიერ ფასად „გამადრიდელდეს“.

მეორე საკითხი არის ანაზღაურება, „მანჩესტერი“ მას წელიწადში 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს, ფაქტობრივად ოთხჯერ უფრო მეტს, ვიდრე მადრიდის „რეალი“ (3 მილიონი). „სამეფო კლუბის“ წარმომადგენელმა უკვე დაურეკა დე ხეას აგენტს და უთხრა, რომ გუნდს სჭირდება. როდესაც მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი გეპატიჟება, უარის თქმა ძალიან ძნელია, თუნდაც გაცილებით ნაკლებ ხელფასს გთავაზობდეს. აქვე განსახილველია მისი სატრანსფერო ფასი, მესამე საკითხია, რომელიც ტრანსფერს ხელს უშლის. „თეთრებმა“ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, რომ მზად არიან 30 მილიონი გადაიხადონ. მანჩესტერელები კი მზად არიან, 40 მილიონად გაუშვან მეკარე.

მესამე საკითხი კი იკერ კასილასია, რომელიც ყველაზე ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს დე ხეასთვის. დავიდს სურს, რომ გარანტირებული სათამაშო დრო ჰქონდეს და პირველი მეკარე იყოს, მაგრამ ამისათვის კასილასის შემადგენლობიდან ამოგდება დასჭირდება. კონკურენცია კი ორივე მეკარეზე დადებითად იმოქმედებს და ისინი უფრო მოუმატებენ თამაშის ხარისხს. აგრეთვე ახალგაზრდა ესპანელისათვის იკერი კუმირი იყო და არის, ამიტომ მისგან შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს. შესაბამისად იკერი გუნდში თუ დარჩა, ეს კიდევ უფრო სასარგებლო იქნება დე ხეას განვითარებისათვის.

მეოთხე ფაქტორი არის მისი ოჯახი და მეგობარი გოგონა, რომლებიც დიდ დროს ატარებენ მადრიდში და ესპანელი კიპერი ინგლისში თავს კომფორტულად ვერ გრძნობს. გამომდინარე აქედან, დე ხეა მზად არის უარი თქვას გაცილებით მაღალ ანაზღაურებაზე და შეუერთდეს „ბლანკოსს“, ამაში კი მას ხელს ისიც ვერ შეუშლის, რომ ცოტა ხნის წინ ის „სამეფო კლუბის“ გამორჩეული მეტოქის „ატლეტიკოს“ ღირსებას იცავდა.

რაც შეეხება ვან გაალს, ის მაინცდამაინც არ ცდილობს, რომ დე ხეაზე ზეწოლა მოახდინოს, პირიქით, საჯაროდ საუბრობს მისი შემცვლელის პოვნაზე. ამ ეტაპისათვის „მანჩესტერში“ უგო ლორისის, პეტერ ჩეხისა და ასმირ ბეგოვიჩის კანდიდატურები განიხილება. ვან გაალმა მხოლოდ ის თქვა, რომ დე ხეას შეუძლია დარჩეს „მანჩესტერში“ და გახდეს კლუბის ლეგენდა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**18 მაისი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი ..................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 37 | 25 | 9 | 3 | 70-31 | 84 |
| 2.სიტი | 37 | 23 | 7 | 7 | 81-38 | 76 |
| 3.არსენალი | 36 | 21 | 8 | 7 | 67-35 | 71 |
| 4.მანჩესტერი | 37 | 20 | 9 | 8 | 62-37 | 69 |
| 5.ლივერპული | 37 | 18 | 8 | 11 | 51-42 | 62 |
| 6.ტოტენჰემი | 37 | 18 | 7 | 12 | 57-53 | 61 |
| 7.საუთჰემპტონი | 37 | 18 | 6 | 13 | 54-31 | 60 |
| 8.სუონსი | 37 | 16 | 8 | 13 | 46-48 | 56 |
| 9.სტოკი | 37 | 14 | 9 | 14 | 42-44 | 51 |
| 10.ევერტონი | 37 | 12 | 11 | 14 | 48-49 | 47 |
| 11.ვესტ ჰემი | 37 | 12 | 11 | 14 | 44-45 | 47 |
| 12.კრ. პალასი | 37 | 12 | 9 | 16 | 46-51 | 45 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 37 | 11 | 11 | 15 | 37-47 | 44 |
| 14.ლესტერი | 37 | 10 | 8 | 19 | 41-54 | 38 |
| 15.ასტონ ვილა | 37 | 10 | 8 | 19 | 31-56 | 38 |
| 16.სანდერლენდი | 36 | 7 | 16 | 13 | 30-50 | 37 |
| 17.ნიუკასლი | 37 | 9 | 9 | 19 | 38-63 | 36 |
| 18.ჰალი | 37 | 8 | 10 | 19 | 33-51 | 34 |
| 19.ბარნლი | 37 | 6 | 12 | 19 | 27-53 | 30 |
| 20.ქპრ | 37 | 8 | 6 | 23 | 41-68 | 30 |

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-პარმა ......................... 3:0

ნაპოლი-ჩეზენა ............................... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 36 | 25 | 8 | 3 | 67-21 | 83 |
| 2.რომა | 36 | 18 | 13 | 5 | 51-28 | 67 |
| 3.ლაციო | 36 | 20 | 6 | 10 | 66-34 | 66 |
| 4.ნაპოლი | 36 | 18 | 9 | 9 | 67-47 | 63 |
| 5.ფიორენტინა | 36 | 16 | 10 | 10 | 55-44 | 58 |
| 6.ჯენოა | 36 | 15 | 11 | 10 | 58-42 | 56 |
| 7.სამპდორია | 36 | 13 | 15 | 8 | 45-39 | 54 |
| 8.ინტერი | 36 | 13 | 13 | 10 | 53-42 | 52 |
| 9.ტორინო | 36 | 13 | 12 | 11 | 43-42 | 51 |
| 10.პალერმო | 36 | 11 | 13 | 12 | 49-51 | 46 |
| 11.მილანი | 36 | 11 | 13 | 12 | 50-49 | 46 |
| 12.ვერონა | 36 | 11 | 11 | 14 | 45-61 | 44 |
| 13.სასუოლო | 36 | 10 | 13 | 13 | 45-56 | 43 |
| 14.კიევო | 36 | 10 | 12 | 14 | 27-37 | 42 |
| 15.უდინეზე | 36 | 10 | 11 | 15 | 40-51 | 41 |
| 16.ემპოლი | 36 | 8 | 17 | 11 | 42-47 | 41 |
| 17.ატალანტა | 36 | 7 | 15 | 14 | 36-53 | 36 |
| 18.კალიარი | 36 | 6 | 10 | 20 | 43-65 | 28 |
| 19.ჩეზენა | 36 | 4 | 12 | 20 | 36-67 | 24 |
| 20.პარმა | 36 | 6 | 6 | 24 | 29-71 | 17 |

**შენიშვნა:** პარმას დაკლებული აქვს 7 ქულა

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-ნასიონალი ..................... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-დინამო ................................ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-აკჰისარი ................................ 3:1

ბეშიქთაში-ქონია ........................... 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

პლზენი-იიჰლავა ............................ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ესბიერგი ............. 1:3

სონდერიისკე-რანდერსი ................ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰალმშტადი-დიურგარდენი ........... 2:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიევი: „რუსეთმა ტყვედ ჩავარდნილი საკუთარი ოფიცრების განადგურება ცადა“

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პაველ კლიმკინის განცხადებით, მოსკოვმა ტყვედ ჩავარდნილი საკუთარი ოფიცრების განადგურება სცადა. „გრუ-ს“ (თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველო) ოფიცრები ლუგანსკის ოლქში დასახლებულ პუნქტ სჩასტიესთან ტყვედ ჩავარდნენ.

– რუსი ოფიცრები შეეცადნენ საკუთარი თანამებრძოლები მოეკლათ მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ ეს ადამიანები უკრაინელმა სამხედროებმა ტყვედ აიყვანეს, – კლიმკინმა ეს განცხადება ბრიუსელში შეხვედრის შემდეგ გააკეთა. ამავე დროს, უკრაინელმა მინისტრმა რუსეთის მიერ საკუთარი სამხედროების განადგურების მცდელობის დეტალებზე საუბარი არ ისურვა.

ლუგანსკელი სეპარატისტები ცდილობენ ყველა დაარწმუნონ, რომ „გრუ-ს“ ოფიცრები სინამდვილეში ლუგანსკელი მოხალისეები არიან, თუმცა თავად მოსკოვი აღიარებს, რომ დაკავებულები რუსეთის მოქალაქეები და „ყოფილი“ სამხედროები არიან.

დაკავებიდან 24 საათის შემდეგ საინტერესო კომენტარი გააკეთა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ. რუსეთის სამხედრო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის, გენერალ-მაიორ იგორ კონაშენკოს განცხადებით, სჩასტიესთან დაკავებული რუსეთის მოქალაქეები ალექსანდრე ალექსანდროვი და ევგენი ეროფეევი, დაკავების მომენტში, 2015 წლის 17 მაისს, „რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები აღარ იყვნენ“.

მისი თქმით, ალექსანდროვი და ეროფეევი ადრე მართლაც მსახურობდნენ რუსეთის ერთ



ერთ სამხედრო ნაწილში. გენერლის განცხადებით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს უკვე მიმართა სპეციალური დანიშნულების ჯარების ვეტერანთა ასოციაციამ თხოვნით, „ოფიციალური არხებით მიმართონ უკრაინის გენერალურ შტაბს მოთხოვნით, შეწყვიტონ მათი დაჭრილი ამხანაგების შეურაცხყოფა, რასაც უკრაინის უშიშროება სასურველი ჩვენებების მისაღებად მიმართავს“.

როგორც კონაშენკო აღნიშნავს, მოსკოვი იმედოვნებს, „უკრაინის ხელისუფლება კეთილგონიერებას გამოიჩენს და ალექსანდროვსა და ეროფეევს უახლოეს დროში გაათავისუფლებს“.

– ლუგანსკში დაკავებულ რუს სამხედრო მოსამსახურეებს ჰუმანურად ექცევიან და მათ არავინ აწამებს, – ამის შესახებ უკრაინის გენერალური შტაბის წარმომადგენელმა ვლადისლავ სელეზნიოვმა განაცხადა.

17 მაისს ცნობილი გახდა, რომ დონბასში, კონფლიქტის ზონაში, 2 რუსი სამხედრო მოსამსახურე დააკავეს. დაკავება მოხდა ლუგანსკის ოლქის დასახლებულ პუნქტში სჩასტიე. დაკავებულები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ) ოფიცრები არიან და სამარაში დისლოცირებულ სპეცდანიშნულების შენაერთში მსახურობენ.

– ერთმა თავი წარადგინა, როგორც ევგენი ეროფეევმა და განაცხადა, რომ ის სპეციალური დანიშნულების ძალების ოფიცერია, მეორე კი წარდგა, როგორც ალექსანდროვი, 28 წლის. ორივე წარმოშობით სამარადანაა, მათი სპეცდანიშნულების სამხედრო ნაწილი ტოლიატშია განლაგებული და ისინი ლუგანსკში გადაისროლეს, – განაცხადეს უკრაინელმა სამხედროებმა.

დაკავებულები დაჭრილები იყვნენ და მათ ოპერაცია ჩაუტარდათ.

რუსეთის ხელისუფლება, პრეზიდენტ პუტინის ჩათვლით, ამტკიცებს, რომ რუსული სამხედრო ნაწილები უკრაინის ომში არ მონაწილეობენ, თუმცა საპირისპიროს ამტკიცებს უტყუარი ფაქტები, სადაზვერვო მონაცემები და თავად სეპარატისტებისა და რუსი სამხედროების განცხადებები.

ბრიტანულ „ბიბისისთან“ ინტერვიუში „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ სპეცდანიშნულების შენაერთის მეთაურმა განაცხადა, რომ დებალცევო რუსეთის საკადრო სამხედროებმა აიღეს და ოპერაციას რუსი გენერლები მეთაურობდნენ. აღსანიშნავია, რომ დებალცევო რუსებმა მინსკის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ აიღეს.

დებალცევოს ოპერაციაში რუსი სამხედროების მონაწილეობა „კომერსანტსაც“ დაუდასტურეს. დადგინდა, რომ დებალცევო ბურიატიიდან ჩასულმა ჯავშანსატანკო შენაერთმა აიღო. „კომერსანტის“ ჟურნალისტს არ დაუმალეს, რომ დონბასში საბრძოლო დავალებებს რუსი სამხედროები ასრულებენ, ჟურნალისტების წინაშე კი სეპარატისტები პოზირებენ.

ამავე დროს რუსმა სამხედროებმა „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ უკრაინაში წასვლის წინ, მათ სამხედრო სამსახურიდან წასვლის განცხადებას მოაწერინეს ხელი. რუსეთი აცხადებს, რომ დონბასში მებრძოლი რუსი სამხედროები ან შვებულებაში იმყოფებიან, ან უკრაინაში წასვლამდე სამხედრო სამსახური დატოვეს.

აშშ-მ არაერთხელ განაცხადა, რომ აქვს მტკიცებულებები, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში რუსი გენერლების მონაწილეობას ადასტურებს. რუსული ინტერვენციის მტკიცებულებები ასევე გამოაქვეყნა ნატომ, ბრიტანეთმა და გერმანიამ.

ამ ფონზე, კიევი მოსკოვს ლუგანსკში დაკავებული რუსი სამხედრო მოსამსახურეების გაცვლას ნადეჟდა სავჩენკოსა და რუსების ტყვეობაში მყოფ 400-მდე უკრაინელ ჯარისკაცზე სთავაზობს. შესაბამისი წინადადებით რუსეთის პრეზიდენტს უკრაინის შს მინისტრის მრჩეველმა ანტონ გერაშენკომ მიმართა.

– რაო, ვლადიმერ ვლადიმერის ძევ? როგორც ჩანს, ნადია სავჩენკო და ტერორისტთა ტყვეობაში მყოფი 400-მდე უკრაინელი სამხედრო მალე გათავისუფლდება. მას შემდეგ, რაც ჩვენს მოსაკლავად გამოგზავნილ თქვენს სამხედრო დამნაშავეებს გავასამართლებთ, მათ გაცვლას შემოგთავაზებთ ჩვენს თანამემამულეებზე, – წერს გერაშენკო სოციალურ ქსელ ფეისბუქში.

# „რუსეთს ახალი სანქციები ელის“

თუ მოსკოვი მინსკის შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს, საერთაშორისო იზოლაცია ელის. ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ განაცხადა. მისივე თქმით, რუსეთი შეთანხმების პირობებს დღემდე არ ასრულებს, რასაც საერთაშორისო საზოგადოება ადეკვატურად უპასუხებს.

ვერშბოუს თქმით, ამჟამინდელი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობის შესახებ ნატოს კონცეფცია განახლებას საჭიროებს.

– რუსეთთან ურთიერთობების აღწერა ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში აშკარად განახლებას საჭიროებს, – განაცხადა ვერშბოუმ ბუქარესტში მიმდინარე ნატოს საპარლამენტო სესიაზე.

ნატო-ს ავღანეთში სამხედრო ტვირთის რუსეთის ტერიტორიის გავლით ჩატანის შესაძლებლობა აღარ ექნება. შესაბამის განკარგულებას „ბიბისის“ ცნობით, ხელი რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა მოაწერა.

როგორც რუსეთის მთავრობის განკარგულებაში წერია, აღნიშნული გადაწყვეტილება მათ გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2001 წლის რეზოლუციის მოქმედების შეჩერების გამო მიიღეს. აღნიშნული რეზოლუცია ავღანეთში სამხედრო ტვირთის რუსეთის გავლით ჩატანას ითვალისწინებდა.

ამ დრომდე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ავღანეთში სამხედრო ტვირთის ტრანსპორტირებისათვის რუსეთის ტერიტორიას ტრანზიტად იყენებდა.

– 2010 წლის ოქტომბერში დიმიტრი მედვედევი, რომელიც მაშინ რუსეთის პრეზიდენტი იყო, ნატოს სამიტს დაესწრო ლისაბონში. ალიანსმა იგი შეხვედრაზე 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში ომის მიუხედავად მიიწვია. მედვედევმა მაშინ პირობა დადო, რომ ავღანეთში ნატო-ს საქმიანობას დამატებით მხარდაჭერას აღმოუჩენდა. მათ შორის ავღანეთში რუსეთის ტერიტორიის გავლით ალიანსის სამხედროების ჩაყვანას და აღჭურვილობის ჩატანას, – წერია „ბიბისის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში.

აშშ-მა და ნატო-მ გასული წლის დეკემბერში ავღანეთში სამხედრო ოპერაცია დაასრულეს, რის შემდეგაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეყანაში სამხედროების ნაწილს მაინც დატოვებდნენ. ამ დროისათვის ავღანეთში ნატო-ს სამხედროების რიცხვი 13 000-ს შეადგენს, მათგან დაახლოებით 10 000 ამერიკელია. თუმცა, 2015 წლის დასაწყისში ავღანეთში ისლამისტური დაჯგუფებები კვლავ გააქტიურდნენ, რის შემდეგაც ვაშინგტონმა ავღანეთიდან საკუთარი სამხედროების გაყვანის პროცესი შეანელა.

„ბიბისის“ ცნობით, რამდენ ხანს დარჩებიან ისინი ავღანეთში, უცნობია, თუმცა, შესაძლოა მათი იარაღითა და სხვა აღჭურვილობით მომარაგება კვლავ გახდეს საჭირო, რისთვისაც ალიანსი რუსეთის ტერიტორიას ვეღარ გამოიყენებს.

## 16 დაღუპული, მათ შორის 5 ბავშვი – ტრაგედია ბაქოში



ბაქოში მრავალსართულიან სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 16 ადამიანამდე გაიზარდა. დაშავებულია 61 ადამიანი, ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანის ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

დაღუპულთა შორის 5 მცირეწლოვანი ბავშვია.

ბაქოში აზადლიგის გამზირზე მრავალსართულიან სახლს ცეცხლი გუშინ დილით გაუჩნდა. ხანძარი მთელ კორპუსს მოედო. ცეცხლის ჩასაქრობად მეხანძრეებს რამდენიმე საათი და სახანძრო ვერტმფრენი დასჭირდათ.

ხანძრის დროს კორპუსში მცხოვრებმა ქალმა ცეცხლისგან თავის დაღწევა ფანჯრიდან გადმოხტომით სცადა. ის მაღალსართულიანი სახლიდან ბავშვთან ერთად გადმოხტა. ორივე ადგილზე გარდაიცვალა.

ადგილობრივი სააგენტოების ინფორმაციით, ცეცხლი კორპუსის პლასტიკურ მოსაპირკეთებელ მასალას მოედო. ბაქოში, ამ თვეში, მსგავსი ფაქტი უკვე მეორედ მოხდა.

აღსანიშნავია, რომ ამ კორპუსში ცხოვრობს ცნობილი აზერბაიჯანელი ჟურნალისტი სევინჯ ფადაი, რომელიც მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მეხანძრეებმა გადაარჩინეს.

# ევროკავშირმა კონტრაბანდისტთა განადგურების გეგმა დაამტკიცა

ევროკავშირის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ოპერაციის გეგმა დაამტკიცეს, რომელიც კონტრაბანდისტთა გემების ძიებას და განადგურებას ითვალისწინებს. როგორც ბრიუსელში გამართული მინისტერიალის შემდეგ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა განაცხადა, ოპერაცია ივნისიდან დაიწყება.

წლის დასაწყისიდან აფრიკიდან ევროპაში ხმელთაშუა ზღვის გავლით გადასვლის მცდელობისას ზღვაში 1800-ზე მეტი ადამიანი დაიხრჩო. ევროპის სამხრეთ სანაპიროს მიგრანტთა უპრეცედენტო ტალღა მიაწყდა; გაეროს მონაცემებით, ხმელთაშუა ზღვის გადაკვეთა წლის დასაწყისიდან 60 ათასმა ადამიანმა სცადა. ევროკავშირში აცხადებენ, რომ ოპერაციის განსახორციელებლად გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატი დასჭირდებათ.

– სახელმწიფოთა მეთაურებმა



ერთი თვის წინ უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო ზომების შემუშავება დაგვავალეს, რათა კონტრაბანდის ბიზნეს მოდელის დემონტაჟი მოხდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. ჩვენ ანტიკრიზისული მართვის კონცეფცია მივიღეთ, რომლის თანახმად, ოპერაციის შტაბი რომში განლაგდება და მას კონტრადმირალი კრედენტინო უხელმძღვანელებს. ოპერაციის დასაწყებად მზად უკვე ივნისში ვიქნებით, – განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ.

ევროპელები ფიქრობენ რომ კონტრაბანდისტების საწინააღმდეგო ოპერაციაში გამოყენებული იქნება სომალელ მეკობრეებთან ბრძოლის გამოცდილება. ევროპელი მინისტრები აფრიკაში და, პირველ რიგში, ლიბიაში სახმელეთო ოპერაციის დაწყებას გამორიცხავენ.

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ოპერაციის პირველ ფაზაში ბუნდესვერის სამხედრო-საზღვაო ძალების ჩართვაზე თანხმობა უკვე განაცხადა. წინასწარი შეფასებით, მისი ხარჯები 12 მლნ ევროს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ გერმანულმა ფლოტმა მიგრანტების გადამყვანი კონტრაბანდისტების ნავების ჩაძირვა უკვე დაიწყო. ხმელთაშუა ზღვაში მორიგე გერმანულ სამხედრო გემებს აფრიკიდან ევროპაში ზღვით მიმავალი ლტოლვილები ბორტზე აჰყავთ, რის შემდეგაც დაცარიელებულ ნავებს ძირავენ. ამ ზომებით, პირველ რიგში, ნადგურდება კონტრაბანდისტთა ქსელი და მცირდება უკანონო მიგრაციის და მათი მსხვერპლის მასშტაბები. გარდა ამისა, მოდრეიფე ნავები სხვა ხომალდებისათვის საფრთხეს წარმოადგენენ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ობიექტები შორიდან შეიძლება ჩათვალონ ისეთ ნავებად, რომელსაც მართლაც სჭირდება დახმარება და შედეგად ძვირფასი დრო იკარგება.

5 მაისიდან ხმელთაშუა ზღვაში მორიგეობა დაიწყო ორმა გერმანულმა გემმა ფრეგატმა „ჰესენი“ და სამხედრო-სატრანსპორტო ხომალდმა „ბერლინი“. როგორც გოლტშალკი აღნიშნავს, არასრული 2 კვირის განმავლობაში მარტო „ჰესენმა“ ხმელთაშუა ზღვაში 700 ლტოლვილი გადაარჩინა. გერმანული ფლოტი გადარჩენილ ლტოლვილებს იტალიის ხელისუფლებას გადასცემს.

*მოამზადა გვრა მამულაშვილმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 2. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 3. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 4. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 5. მონასტერი ქარელის რაიონში; 8. სწორკუთხა, უგუმბათო ქრისტიანული ტაძარი; 12. მდგომარეობა ჭადრაკში; 13. კარსტული მღვიმე იმერეთში; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 18. ორსართულიანი ლაზური სახლი; 20. მაღალხარისხოვანი წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში.

**თარაზულად**: 6. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 7. ქართული თეატრის ფუძემდებელი; 8. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. მდინარე ლონდონში; 10. დუქნის დახლიდარი; 11. ჩვილი ბავშვის საფენი; 15. გულისცემის აჩქარება; 17. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 19. ხილის წვენების პიურესაგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი; 21. ამერიკული ჟურნალი; 22. სამხედრო გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 23. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრიკაზი; 2. ლეკები; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. ჰანდიკაპი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. გეიზერი; 17. ბაღდათი; 19. ლემა; 20. გოია.

**თარაზულად:** 5. ღრმაღელე; 6. ბრაუნინგი; 9. ბალბოა; 10. „ბაიერი“; 11. ვაშლი; 13. აბული; 15. ავრორა; 18. „ჰერში“; 21. სუპერმენი; 22. ეიფორია; 23. კანტონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პრატერი; 2. ყაბალახი; 3. სეტერი; 4. მუაში; 5. „მიცუბიში“; 8. ჩასპანდი; 12. ელბა; 13. „ფლამენგო“; 14. ფრახტი; 16. ტავერნა; 18. კარნე; 20. ტირე.

**თარაზულად:** 6. ერისტიკა; 7. „ფრეჟიუსი“; 8. ჩაფარი; 9. ვეკუა; 10. სალონიკი; 11. „ბუდეშური“; 15. ალმადოვარი; 17. კამენა; 19. ტრიტიკალე; 21. სნუკერი; 22. მონორელსი; 23. რეალობა.

## ასტროპროგნოზი

15 მაისისთვის

ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ

**ვერძი** – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც გამოგდით. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – რაღაცას ნანობთ, მაგრამ უკვე გვიანია. **ლომი** – ბრწყინვალე ფორმაში ხართ, ყველას აკვირვებთ. **ქალწული** – საღამოს სასიამოვნო სიურპრიზი გელით. **სასწორი** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, ეკონომიურად ხარჯეთ. **მშვილდოსანი** – მეგობრები ცხოვრებას გაგიხალისებენ, ფულიც გექნებათ. **თხის რქა** – ნაწყენი ხართ, მაგრამ მალე გაგივლით. **მერწყული** – ფულის გადახდა მოგიწევთ, მოემზადეთ. **თევზები** – თავს მიხედეთ, ნუ გადაიღლებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# ანიტა რაჭველიშვილი სიმსივნით დაავადებულებს დაეხმარება

ეკა ირემაშვილი



მსოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი საქველმოქმედო კონცერტში მიიღებს მონაწილეობას და თავისი სიმღერით სიმსივნით დაავადებულ ადამიანებს დაეხმარება.

„ერთად სიცოცხლის სადარაჯოზე“ – ასეთია ღონისძიების დევიზი, რომელიც მკერდის სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს ეძღვნება და 21 მაისს თბილისი რუმს ჰოტელსში ჩატარდება, სადაც სპეციალურად დამონტაჟდება სცენა და მოეწყობა ამფითეატრი.

ორგანყოფილებიან საქველმოქმედო კონცერტში მეცო-სოპრანო ანიტა რაჭველიშვილთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ნიუ-იორკში მოღვაწე ქართველი პიანისტი დავით ალადაშვილი, სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, კომპოზიტორი ნიკოლოზ რაჭველი და სოლისტები, ალტისტი გიორგი ცაგარელი, მესაყვირეები გიორგი და დავით შამანაურები, დრამერი ვადიმ შიშკინი და კონტრაბასისტი დუგლას ტონია.

# სოფიკო ჭიაურელის მოპარული სკულპტურები ნაპოვნია

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობის სოფიკო ჭიაურელის ბიუსტიდან მოპარული მრეცხავი ვარდოს და ფუფალას ქანდაკებები უკვე ნაპოვნია. სიონის სკვერში მდგარი სკულპტურა გასულ წელს გაქურდეს, რომელსაც ოთხი მცირე ქანდაკებიდან ორი მოპარეს.

მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის მიერ 2009 წელს შექმნილი სკულპტურული კომპოზიციის შემადგენელი ნაწილები ფუფალას და მრეცხავი ვარდოს ქანდაკებები გასულ წელს სავარაუდოდ გვიან ღამით მოიპარეს. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა სოფიკო ჭიაურელის ბიუსტი გაძარცვეს. მანამდე სოფიკო ჭიაურელის ბიუსტს თავიდან გვირგვინიც მოაცალეს.

– ეს ძეგლი სამჯერ გაძარცვეს. ჯერ სოფიკო ჭიაურელის პორტრეტის გვირგვინი მოიპარეს, რომელიც თავიდან დავამზადე, მერე მრეცხავი ვარდოს პერსონაჟის გაძარცვის მცდელობა იყო. ვარდოს სკულპტურა სახლში თავად წავიღე და მისი რესტავრაცია რამდენიმე დღეში დავასრულე. მოგვიანებით ვარდოც და ფუფალაც გაქრა, მაგრამ ახლა, საბედნიეროდ, ისევ ნაპოვნია.



ლესელიძის ქუჩაზე მდებარე სოფიკო ჭიაურელის ბიუსტს უკვე დაუბრუნდა თავისი კუთვნილი მრეცხავი ვარდოსა და ფუფალას ქანდაკებები. როგორც ავტორი ამბობს, მინიატურული ქანდაკებები ძვირფასი ლითონისგან არის დამზადებული და მათი მოპარვაც, სავარაუდოდ, ამ მიზეზით მოხდა.

# ბორის სოკოლოვი: „ის, რაც ახლა რუსეთში ხდება, იმას ჰგავს, რაც სსრკ-ში 1937 წლამდე იყო“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

*– მაინც როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები?*

– დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში პრინციპული პრობლემა ის გახლავთ, რომ პუტინს სურს, უკრაინა დარჩეს მისი გავლენის სფეროში. მაგრამ წარმოუდგენელია, რუსეთს დასავლეთმა ხელი მოუწეროს შეთანხმებაზე, რომლის თანახმადაც, უკრაინა არასოდეს გახდება არც ევროკავშირის და არც ნატოს წევრი ქვეყანა. ამ თემაზე მოლაპარაკების მაგიდაზე შეთანხმება შესაძლებელია, მაგრამ შეუძლებელია დოკუმენტის შემუშავება, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობებში იურიდიული ძალა ექნება. ობამას, მერკელს და ოლანდს შეუძლიათ დაპირდნენ პუტინს, რომ უკრაინა ევროპის ნაწილი არ გახდება, მაგრამ ამ დაპირებებს არანაირი ძალა არ ექნება მას შემდეგ, რაც ეს პოლიტიკური ფიგურები თანამდებობებზე აღარ იქნებიან. ეს ის საკითხია, რომელშიც მხარეები კონსენსუსს ვერასოდეს მიაღწევენ. პუტინს უნდა, უკრაინაში ჰყავდეს დამჯერი მთავრობა. ახლა უკრაინაში ამგვარი რამის წარმოდგენა მხოლოდ რუსული ხიშტების გამოყენებითაა შესაძლებელი.

*– როგორც ჩანს, კრემლში ესმით, რომ ამგვარი ნაბიჯი კიდევ უფრო გაამწვავებდა რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებს.*

– კი, ესმით, მაგრამ კრემლი იმოქმედებს თუ არა ამის გათვალისწინებით, კვლავაც გაურკვეველია.

*– რუს ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა თავად რუსეთში გამოიწვია იმგვარი პროცესების განვითარება, რომელთაც ბევრი არ ელოდა. თქვენ როგორ დაახასიათებდით რუსეთში არსებულ ვითარებას?*

– რუსეთში პრინციპულად ახალი არაფერი ხდება. როგორც იქნა, საიუბილეო ალლუმმა ჩაიარა და იმედია, ამ თემაზე აწი პოლიტიკოსები, ხალხი და ტელევიზიები ნაკლებს ისაუბრებენ.

**პუტინს უნდა, უკრაინაში ჰყავდეს დამჯერი მთავრობა. ახლა უკრაინაში ამგვარი რამის წარმოდგენა მხოლოდ რუსული ხიშტების გამოყენებითაა შესაძლებელი**

*– რუს პოლიტოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სტალინიზაცია, რომელიც 10 წელი წყნარად და შეპარვით ყალიბდებოდა და თითქმის შეუმჩნეველი იყო, ახლა ღიად და ამაყად დააბიჯებს მოსკოვის ქუჩებში. თქვენც მიგაჩნიათ, რომ რუსეთში სტალინიზმის ნიშნები შესამჩნევია?*

– სტალინიზმია ჩვენთან თუ ნეოტოტალიტარიზმი, ამ თემაზე მეც მიწევს ხშირად ფიქრი. სიტუაცია ბევრად არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც საბჭოთა პერიოდის 70-იან წლებში იყო. შესაძლოა, ახლანდელი ვითარება უარესიც იყოს და უფრო მე-20 საუკუნის 30 წლებსაც ჰგავდეს. ყველაფერზე გამკაცრებულია ცენზურა, ეს ეხება როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ისე თეატრს, კინოს. ტელევიზია სრული ცენზურის ქვეშ საქმიანობს. მე მაინც ამას სტალინიზმს არა, მაგრამ ტოტალიტარიზმის აღორძინებას დავარქმევდი.

*– თქვენი კოლეგების ერთი ნაწილი უფრო შორსაც მიდის და ახლანდელ ვითარებას რუსეთში ადარებს არა სსრკ-ს 30-იან წლებს, არამედ გერმანიის 30-იან წლებს. ამგვარი შედარებები რამდენად რეალისტურად გამოიყურება და შეესაბამება თუ არა სინამდვილეს?*

– არა, ჰიტლერის გერმანიას არა, მაგრამ ალბათ ახლა რაც რუსეთში ხდება, უფრო იმას ჰგავს, რაც სსრკ-ში გასულ საუკუნეში 30-იან წლებში, მასობრივ რეპრესიებამდე იყო. გერმანია სხვა ქვეყანა კია, მაგრამ ჩვენთანაც ხდება ბევრი ისეთი რამ, რაც ნაციზმს ჰგავს. სწორედ ეს აჩენს პარალელების გავლების საბაბსა და სურვილს, მაგრამ მე პარალელების კეთებისას უპირატესობას რუსეთის ისტორიის მაგალითებს ვანიჭებ.

*– ცნობილი რუსი დრამატურგი და მწერალი ალექსანდრე გელმანი გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ რუსეთის ინტელიგენციაში მოხდა განხეთქილება. ბირთვული ომის საფრთხე იმის გამოა გაზრდილი, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში გაჩენილია რწმენა, რომ საშინელ ბირთვულ ომში გამარჯვება შესაძლებელია. ეს დაკვირვებები რამდენად საფუძვლიანია? და კიდევ, გასაგებია, რომ რუსეთის ქცევას საერთაშორისო არენაზე სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა ბირთვული იარაღით მსოფლიოს შანტაჟი, მაგრამ კრემლში რა, მართლაც შეიძლება ჰქონდეთ იმის იმედი, რომ ბირთვულ ომში გამარჯვება შესაძლებელია?*

– არ მგონია, კრემლში ვინმეს ჰქონდეს იმედი, რომ ბირთვულ ომში გამარჯვება შესაძლებელია. ჩემი აზრით, ისინი მსოფლიოს აშინებენ იმ იმედით, რომ მსოფლიოში ბევრი სულელია.

*– რამდენად ადეკვატურია კრემლის საერთაშორისო პოლიტიკაზე დასავლეთის რეაქცია?*

– ვფიქრობ, ძალიან მიუნხენისეულია. დასავლეთი რუსეთს უფრო გაბედულად უნდა უპირისპირდებოდეს.

*– დიდია ალბათობა, რომ მიუნხენი-1938 განმეორდება?*

– ჯერ შეიძლება ითქვას, რომ სოჭში მიუნხენი არ განმეორებულა. სოჭში მხარეებს არანაირ შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერიათ. არა მგონია, მიუნხენი განმეორდეს, რადგან რუსეთსა და დასავლეთს შორის ამ ტიპის შეთანხმების ფორმულირება ძალიან ძნელად წარმოსადგენია. არ ვარ დარწმუნებული, რომ ამგვარი შეთანხმების ფორმულირებებზე მუშაობა მიმდინარეობს. ამგვარი შეთანხმების ფორმულირება რეალურადაა შეუძლებელი. ვფიქრობ, რომ რუსეთი ცდილობს დროის გაყვანას.

*– და რა შეიძლება მოიგოს კრემლმა დროის გაყვანით?*

– ვერ გეტყვით. შესაძლოა, პუტინს ჰქონდეს იმის იმედი, რომ უკრაინის ხელისუფლება ზეწოლას ვერ გაუძლებს და ხელისუფლება შეიცვლება. პრინციპში, ახლა მას სხვა მიზანი არც შეიძლება ჰქონდეს.

*– უკრაინული მედიის მტკიცებით, რუსეთი უკრაინაში დესტაბილიზაციაზე აქტიურად მუშაობს. რამდენად დიდია ალბათობა, რომ უკრაინაში ვითარება რუსეთის სასარგებლოდ შემოტრიალდეს და პოროშენკო-იაცენიუკის მთავრობა შეიცვალოს?*

– ეს ახლა შეუძლებელია. მით უმეტეს, რუსეთის დაკვეთით.

*– რუსმა პოლიტოლოგმა ვლადიმერ პასტუხოვმა რუსეთში არსებულ ვითარებას ვრცელი სტატია მიუძღვნა. სტატიაში ვკითხულობთ: „რუსეთში კომუნისტური იდეოლოგია ჩაანაცვლა შავრაზმულმა იდეოლოგიამ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცდილობს, იგი იმპერიულ იდეად გაასაღოს, თავისი არსით შავრაზმულია. რუსეთის ხელისუფლებას უნდოდა, გაქცეოდა მაიდანს ბალოტნაიაზე, მაგრამ „შავრაზმულ ჩიხში“ აღმოჩნდა. ელიტა იმგვარ ავადმყოფურ მდგომარეობაშია, რომ სჭირდება დიდი ხნის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ავადმყოფური მდგომარეობიდან გამოსვლა დისკუსიებითაა შესაძლებელი. დიდია ალბათობა, რომ ელიტის გონზე მოსვლა მოხდება მას შემდეგ, როცა ნაციონალური კატასტროფა მომხდარი იქნება და ბევრ რამეს თავის ადგილს მიუჩენს. ახლა იმის იმედიღა შეიძლება გვქონდეს, რომ სამკურნალო დოზა სასიკვდილო არ აღმოჩნდება“. რამდენად რეალისტურად აღწერს ვითარებას პროფესორი პასტუხოვი?*

**არსებულ ვითარებაში რუსეთის მმართველ ელიტაში განხეთქილება არც შეიძლება გამოვლინდეს. განხეთქილება რომ მოხდეს, ადგილი ექნება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ხელისუფლების ცვლილების სხვაგვარი მეთოდი არც არსებობს**

– პირადად არ ვიცნობ პროფესორ პასტუხოვს, მაგრამ გავცნობივარ მის სტატიებს. ჩემთვის გაუგებარია, რაში გამოიხატება შავრაზმელობა. ჩვენთან პოგრომების იდეოლოგიის წახალისება არ ხდება. იმ იდეოლოგიას, რომელიც ახლა რუსეთში დომინირებს, მე უფრო იმპერიულს ვუწოდებდი, ვიდრე შავრაზმულს.

რაც შეეხება ნაციონალურ კატასტროფას, შესაძლოა, ასეთი რამ მართლაც მოხდეს, მაგრამ შორეულ ისტორიულ პერსპექტივაში და არავის შეუძლია იმის პროგნოზირება, ეს როდის მოხდება.

*– რა ხდება რუსეთში და რას შეიძლება ნიშნავდეს ტენდენციები, რომლებიც რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შეინიშნება?*

– რუსეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება არაა, ამიტომ რაიმე სახის სერიოზულ პროცესებზე საუბარი შეუძლებელია. შესაძლოა, მმართველ ელიტაში ჰქონდეს ადგილი გარკვეულ პროცესებს, მაგრამ როგორი და რა ტიპისაა ისინი, ჩვენ არ ვიცით. ინტელექტუალურ, სახელოვნებო და შემოქმედებით ელიტებში განხეთქილება კარგა ხანია, მოხდა. მმართველ ელიტაში აზრთა სხვადასხვაობა ალბათ არსებობს, მაგრამ ჩვენ მასზე რეალურად არაფერი ვიცით. არსებულ ვითარებაში მმართველ ელიტაში განხეთქილება არც შეიძლება გამოვლინდეს. განხეთქილება რომ მოხდეს, ადგილი ექნება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ხელისუფლების ცვლილების სხვაგვარი მეთოდი არც არსებობს. ამიტომაც ვამბობ, მმართველ ელიტაში განხეთქილება წარმოუდგენელია. თუ მმართველი ელიტის ნაწილი ძირითად ჯგუფს დაუპირისპირდა, იგი შეეცდება, მოახდინოს გადატრიალება. ელიტის ეს ნაწილი ხელისუფლების ლეგალურ ოპოზიციაში არ აღმოჩნდება და არ შეეცდება ხელისუფლებისთვის ბრძოლას, ვინაიდან დღევანდელ რუსეთში ამგვარი შესაძლებლობა არ არსებობს.

კობა ბენდელიანი, ინტერპრესნიუსი

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველო თანაუგრძნობს თანამშრომელს ლანა ხიჯაკაძეს ბაბუის

**ლევან ხიჯაკაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კიევში მარშალ ჟუკოვის მემორიალური დაფა დაამსხვრიეს

კიევში მარშალ ჟუკოვის მემორიალური დაფა დაამსხვრიეს. უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ განაცხადა, რომ სამწუხაროდ კანონი დეკომუნიზაციის შესახებ, რასაც პრეზიდენტმა პოროშენკომ ხელი მოაწერა, არ სრულდება:

– მარშალ ჟუკოვს უკრაინის წინაშე უდიდესი დანაშაული მიუძღვის. მან სასტიკად ჩაახშო 1946 წლის გამოსვლები ოდესაში, როცა ცალკეული ცნობით მოკლულ იქნა 2 000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე. ჩვენდა სამარცხვინოდ, უკრაინის დედაქალაქში არსებობს ასეთი კაცის ქუჩა და მემორიალური დაფა! – თქვა ლიაშკომ.

მილიციამ დააკავა ისინი, ვინც ჟუკოვის მემორიალური დაფა დაამსხვრია. ყველანი სტუდენტები და უფროსი კლასების მოწაფეები აღმოჩნდნენ (14-18 წლის ასაკის). რადიკალური პარტიის მიერ მოწყობილი აქციის შედეგად ყველა დაკავებული გაათავისუფლეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## TV პროგრამა

ოთხშაბათი 20 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.20 "საუკუნის პორტრეტები" 15.00, 21.00 ტ/სერ. "ადვოკატები" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 მხ/ფ "ჰათსაქერის შემცვლელი" (ტ.რობინსი) 01.50 მხ/ფ "კამერა"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო 14.00, 16.00 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 20.00 "მოამბე" (5 ენებზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. "სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, ქრონიკა 10.05 სერ. "კარმა" 11.20 სერ. "ივნისის ღამე" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "ორი ბედი" 17.35 სერ. "სიცოცხლის საფასური" 18.45, 19.03 სერ. "შურისძიება" 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სერ. "სიყვარულის სეზონი" 2 სერ. 02.10 მხ/ფ "ენჯელის გული" (მ.რურკი)

06.00, 15.55 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.55 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 16.55 სერ. "მოჯადოებულები" 18.55 სერ. "სტამბოლის ცა" 19.55 სერ. "ქარადაი" 22.00 "ნანუკას შოუ" 23.55 გააცინე და მოიგე 00.55 პოკერი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.25 დოკ. ფილმი "საწნახელი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქვიშით ნაამბობი 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 ღია აუდიტორია 12.50 დოკ. ფილმი "წიგნი უპირველესი" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი 16.20 ჟურნალისტის დღიური -ვლაქერნას სამოსელი 16.50 კვირიაკე 17.45 საქართველოს სამართლის ისტორია 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ნეილონის ნაძვის ხე" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ. ფილმი 00.30 საუფლონი -"ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "ოლივერ ტვისტი" 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 12.30, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.35 გადაცემა "NX-სპიკერი" 16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა" 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 19.00 სერიალი "ქორწინება ანდერძით" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 1.30 გადაცემა "iZOS-ანალიზი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**20 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3567 |
| ევრო | 2.6895 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.6972 |
| 100 რუსული რუბლი | 4.7987 |

## ამინდის პროგნოზი 20 მაისისთვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

კალეიდოსკოპი

## მადონამ ახალი სკანდალური სურათი გამოაქვეყნა



ცნობილმა მომღერალმა მადონამ ინსტაგრამაში საკუთარ გვერდზე განათავსა ორი მამაკაცის ფოტოსურათი, რომლებიც ერთმანეთისთვის საკოცნელად ემზადებიან. ქსელის მომხმარებლებმა მათში ებრაელი და არაბი მამაკაცები ამოიცნეს. მომღერალმა სურათს დაურთო წარწერა: „აჯანყებული გულები".

სურათმა გამოქვეყნების მომენტიდან 15 საათის განმავლობაში 60 ათასზე მეტი მოწონება და ორი ათასამდე კომენტარი მიიღო. სერვისის მომხმარებელთა უმრავლესობამ აღნიშნული ფოტოსურათის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა.

## ესპანელებმა გიგანტური ომლეტი დაამზადეს



ესპანეთის ქალაქ კარკასიაში ომლეტი 6 ათასი კვერცხისგან მოამზადეს, რომელიც მიეძღვნა გიგანტური ტორტილის პატივსაცემად ყოველწლიური ფიესტის 25 წლისთავს.

უზარმაზარი ტაფის დასადგმელად ამწეკრანის გამოყენება გახდა საჭირო. ესპანური ომლეტის მომზადებაზე 6 ათასი კვერცხის გარდა, ასევე დაიხარჯა 1,4 კარტოფილი, 350 ლიტრი ზეითუნის ზეთი და 7 კილოგრამი მარილი. გიგანტური ომლეტის დიამეტრმა 3 მეტრს გადააჭარბა, ხოლო სისქემ დაახლოებით 15 სანტიმეტრს მიაღწია.

ერთი ულუფა ომლეტის ფასმა 3 ევრო შეადგინა.

## იაპონელმა ფერმერმა ყველაზე მძიმე მარწყვი გამოიყვანა




იაპონელმა ფერმერმა კოძი ნაკაომ მსოფლიოში ყველაზე მძიმე მარწყვი გამოზარდა. ფუკუოკელი ფერმერის მიღწევა უკვე შევიდა გინესის რეკორდების წიგნში. მარწყვის წონა 250 გრამს შეადგენს, სიმაღლე დაახლოებით 8 სანტიმეტრს, ხოლო სიგანე – 12 სანტიმეტრს.

ნაკაომ უჩვეულოდ დიდ მარწყვს მოსავლის აღების დროს მიაგნო. ამგვარი მუტაცია შესაძლოა მთელი რიგი მიზეზებით იყოს გამოწვეული, მაგალითად, როდესაც ყინვები ყვავილობის დროს ემთხვევა, მაშინ რამდენიმე მარწყვის შეზრდა ხდება.

ადრინდელი რეკორდი 1983 წელს დიდ ბრიტანეთში დამყარდა. მაშინ ადგილობრივმა ფერმერმა 231 გრამიანი მარწყვის მოყვანა შეძლო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# 21 მაისიდან

## „ახალ თაობასთან" ერთად

# საქართველოს მეფეთა ისტორია




ყველა მეფის ისტორია ერთ წიგნში

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## გია გეგუჩაძეს დინამო დღეს წარადგენს

ეროვნული ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში ლანჩხუთის „გურიასთან" ვერმოგების შემდეგ თბილისის „დინამო" მესამე საფეხურამდე ჩამოქვეითდა, კლუბის ხელმძღვანელობამ კი მთავარი მწვრთნელი კახი გოგიჩაიშვილი და სამწვრთნელო შტაბი დაითხოვა.

დღეს „დინამო არენას" საპრესკონფერენციო დარბაზში მოხდება კლუბის ახალი მწვრთნელის – გია გეგუჩაძის წარდგენა. ჟურნალისტთა კითხვებს ახალ მწვრთნელთან ერთად „დინამოს" პრეზიდენტი რომან ფიფია უპასუხებს.

გია გეგუჩაძე „დინამოს" 2004-05 წლებში წვრთნიდა. უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, კარაკოვის „ვისლას" დამარცხების შემდეგ, კლუბთან ერთად უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა მოახერხა და ამით „დინამო" დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) კლუბი გახდა, რომელმაც ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობა შეძლო.



გეგუჩაძეს უმუშავია „ზესტაფონსა" და ქუთაისის „ტორპედოში". ბოლოს გია გეგუჩაძე 2013-14 წლებში ისევ „ზესტაფონს" წვრთნიდა, სადაც გუნდი რატკო დოსტანიჩის წარუმატებელი სტარტის შემდეგ ჩაიბარა და საბოლოოდ ზესტაფონელებმა სეზონი მეორე ადგილზე დაასრულეს.

ბოლო ერთი წლის მანძილზე ცნობილი სპეციალისტი უმუშევარი იყო.

**მ. ჟ.**

## ვალერი მელაძე: „ევროვიზიაზე შანსი არ გვაქვს"

**ეკა ირემაშვილი**



რუსეთში მცხოვრები ქართველი მომღერალი ვალერი მელაძე წლევანდელ ევროვიზიასთან დაკავშირებით თავის პოზიციას ღიად აფიქსირებს.

– წელს შანსები არ გვაქვს, – ამბობს მომღერალი, მაგრამ ამას არა საქართველოს მისამართით, არამედ რუსეთის და მისი კონკურსანტის მისამართით ამბობს. წელს რუსეთს ცნობილი რუსი მომღერალი პოლინა გაგარინა წარადგენს სიმღერით „მილიონი ხმა", რომელიც სპეციალურად მისთვის შვედმა კომპოზიტორებმა დაწერეს.

ვალერი მელაძემ მკაცრად გააკრიტიკა რუსი კონკურსანტის სიმღერა:

– ისეთი სიმღერით, როგორიც რუს კონკურსანტს აქვს შერჩეული წლევანდელი „ევროვიზიისთვის", ჩვენი შანსები ნულის ტოლია. გარდა იმისა, რომ „ევროვიზია" დიდი ხანია უბრალო მუსიკალური კონკურსის ჩარჩოებს გასცდა, რუსეთმა გადაწყვიტა ასეთი არაფრისმთქმელი და გაუგებარი სიმღერით წარდგეს ევროპის წინაშე. გარდა იმისა, რომ „ევროვიზიაში" გაერთიანებულია ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობა, ვაღიარებ, რომ ამ კონკურსში ჩარეულია პოლიტიკა და ამის გარეშე ევროფესტივალზე არაფერი ხდება. სწორედ ამიტომ რუსეთის კონკურსანტს „ევროვიზიაზე" გამარჯვების შანსი ყველაზე ნაკლები აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის კონკურსანტს. რაც შეეხება სიმღერას, ის ცუდი არ არის, მაგრამ მისი რამდენჯერმე მოსმენაა საჭირო. არადა, პოლინა გაგარინას თავის რეპერტუარში ამ სიმღერაზე გაცილებით უკეთესი კომპოზიციები აქვს.

## იუმორი



ცოლი ქმარს ეკითხება:

– აბა, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, რას განიცდი ჩემ მიმართ?

– მოთმინებას, ქალო, მოთმინებას!

●●●

ხანდაზმული ცოლ-ქმარი პლაჟზე წვანან. კაცს თვალი ახალგაზრდა ქალებისკენ გაურბის. გაბრაზებული ცოლი ეუბნება:

– მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე, დაბერდი და თვალი მაინც ახალგაზრდა გოგოებისკენ გაგირბის!

– ქალო, როდის იყო, ქორფა ბალახი ბებერ ხარს კუჭს უშლიდა?

●●●

ცოლ-ქმარს დაქორწინების 15 წელი შეუსრულდათ. დილით ცოლმა გაიღვიძა და ფიქრობს:

„დღეს 15 წელი გავიდა, ადგება ჩემი მეუღლე, წავა, ბეჭედს მიყიდის და მომილოცავს".

ამ დროს კი ქმარი ფიქრობს:

„15 წელი გავიდა. მაშინ რომ მომეკლა, დღეს ციხიდან გამომიშვებდნენ".

●●●

სასიძო ქალის დასანიშნად მივიდა, სასიმამრო გადაეხვია და ეუბნება:

– აჰა, მანქანის გასაღები, უხმარია, გოგოს კიდევ არა უშავს.

●●●

ნაბახუსევზე მყოფი კაცი მაღაზიაში შევარდება, ლუდს იყიდის, გახსნის და იტყვის:

– ამით იმ კაცს გაუმარჯოს, ვისაც ცოლისდასთან საქმე არ ჰქონია, – თქვა და ლუდი მოიყუდა.

გამყიდველი იცინის.

– რა გაცინებს?

– ის მაცინებს, რომ წელან შენი ქვისლი იყო და იმანაც ეგ თქვა.

●●●

ცოლი ქმარს აღვიძებს:

– კაცო, გაიღვიძე, მგონი, ჩვენს ეზოში ქურდები შემოვიდნენ...

– მერე მე რას მაღვიძებ, ფანჯარაში გაყავი თავი, იფიქრებენ, სახლში ავი ძაღლი ჰყავთო და გაიქცევიან...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**45 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**ტიტანის სამკურნალო სამაჯური**
**35 ლარი 60-ის ნაცვლად**



არეგულირებს არტერიულ წნევას, ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა და თავის ტკივილს, აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას, ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას, არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, არ იწვევს ალერგიას.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**45 ლარი 95-ის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია **Stop&Shop**
დარეკეთ წინასწარ! ☎: **2-182-186.**
მის: ვაჟა-ფშაველას №79.


## კროსვორდი



**შვეულად:** 1. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. აეროპორტი მადრიდში; 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 7. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 8. პირობითი სასჯელი; 12. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 14. მონასტერი ქსნის ხეობაში; 16. ბეჭდვითი გამოცემა, იუმორისტული ნახატების სერიალი ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებული თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. ოფიციალური დოკუმენტი; 20. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული.

**თარაზულად:** 5. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკების შედეგების შესახებ; 6. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. შენიშვნა, განმარტება ტექსტში; 10. პომიდვრითა და ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 11. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 13.; ცხელი, შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან არაყი; 15. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 18. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 21. ლექციის, მოხსენების მოკლე ჩანაწერი; 22. ქალაქი იმერეთში; 23. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*